745 ა 10386

ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

სახალხო ფრონტი (138) № 1 X, XI, XII 21 X 1989

## ჩვენი გაზეთი

საქართველოს სახალხო ფრონტის დამფუძნებელი ყრილობის გახსნის დღეს ჯანსულ ჩარკვიანის რედაქტორობით გამოვიდა გაზეთი „სახალხო ფრონტი“. გაზეთი ერთდროული იყო და ყრილობას მიეძღვნა. ყრილობაზევე გადაწყდა სახალხო ფრონტის გაზეთის პერიოდულად გამოცემა. დიდი იყო მკითხველის მოლოდინი და ჩვენი მონდომებაც, მაგრამ ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო გაზეთის გამოცემა დღემდე ვერ მოხერხდა.

დღეს საქართველოს სახალხო ფრონტის გაზეთ „საქართველოს“ პირველი ნომერი გამოდის. გილოცავს დაერთო გაზეთის დაბადება. თუმცა, ეს სიმბოლურიცაა. სიცოცხლე გრძელდება. ჩვენ არა გვაქვს უფლება, არ ვაკეთოთ მერაბ კოსტავას დაწყებული საქმე. ღმერთმა ბოლომდე მიგვაყვანინოს და საქართველოსთვის კეთილად დაგვაგვირგვინებინოს ეს საქმე!

## დამფუძნებელი ყრილობა

1989 წლის 21-25 ივნისს თბილისში, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ჩატარდა საქართველოს სახალხო ფრონტის დამფუძნებელი ყრილობა.

ყრილობის მუშაობის პროცესში გამოიკვეთა დელეგატთა განსხვავებული დამოკიდებულება მრავალ ძირეულ საკითხთან დაკავშირებით. განსაკუთრებით ცხარე კამათი გაიმართა სსფ-ის წესდებისა და პროგრამის მიღებასთან დაკავშირებით.

ყრილობამ აირჩია სსფ-ის გამგეობა 32 კაცის შემადგენლობით. მოგვიანებით ბატონი ალექსანდრე ჭავჭავაძე საკუთარი განცხადებით გამოვიდა გამგეობიდან.

დღეისათვის სსფ-ის გამგეობაში 31 წევრია: ნაირა გელაშვილი, შალვა წიწუაშვილი, ელდარ შენგელაია, სოლომონ ხუციშვილი, თამაზ გამყრელიძე, შოთა ნადირაშვილი, დათო ტურაშვილი, ადა მარშანია, კობა იმედაშვილი, ლანა ღოღობერიძე, ავთანდილ იმნაძე, მერაბ მამარდაშვილი, რეზო თაბუკაშვილი, რეზო ჩხეიძე, როინ თაქთაქიძე, დავით ბერძენიშვილი, ნიკო ჭავჭავაძე, გიორგი მარჯანიშვილი, ზურაბ კიკნაძე, გურამ ყორანაშვილი, ჯანსულ ჩარკვიანი, გურამ გეგეშიძე, გია ბულაძე, აბესალომ ტუღუში, გოჩა გავაშელი, თემურ გოქსაძე, თამაზ შავგულიძე, ციალა ხვანიძე, ნოდარ წულეისკირი, მამა როსტომი (ლორთქიფანიძე), გურამ პეტრიაშვილი.

სარევიზიო კომისიის წევრები არიან: ჯამბაკურ ბაქრაძე (თავმჯდომარე), რობერტ პეტრიაშვილი, იზოლდა ჭილაძე, დათო ადეიშვილი, რომან გოცირიძე, რეზო ესაძე, კობა არაბული, თენგიზ კიკაჩეიშვილი.

საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარედ არჩეულია ნოდარ ნათაძე.




## დღეს ქართველი ხალხი ეთხოვება საქართველოს ეროვნულ გმირს

# მერაბ კოსტავას

# საქართველოს სახალხო ფრონტის უშუალო ამოცანები

საქართველოს სახალხო ფრონტმა მძიმე ვითარებაში დაიწყო თავისი საქმიანობა. ჯერ დამფუძნებელი ყრილობა დამთავრებული არ იყო, ქვემო ქართლში რომ გარედან ინსპირირებული ანტიქართული გამოსვლები მოაწყვეს, რომლებსაც ორიოდე დღეში მოჰყვა საბრძოლო იარაღით აღჭურვილი არაქართული ბანდების თავდასხმები მძინარე ქართველ მოსახლეობაზე. ორიოდე კვირის შემდეგ ამგვარივე აქციები დაიწყო აფხაზეთში, რასაც მსხვერპლი მოჰყვა. მოსალოდნელია ამგვარივე აქციების განმეორება სხვაგანაც. 9 აპრილიდან გახშირდა და გრძელდება ქართველი ჯარისკაცების ეროვნული შეურაცხყოფა და მკვლელობაც კი სამხედრო ნაწილებში, რასაც ერთ-ერთ მიზეზად აქვს ამ უკანასკნელ თვეებში ფართოდ გაშლილი ცილისმწამებლური ანტიქართული კამპანია რუსეთის პრესაში. ვაჟა ფშაველას თქმისა არ იყოს, საქართველო მტრიანია და, შესაბამისად, საშიშროებაც მრავალი მხრიდან მოელის. ყველა ეს საშიშროება მოითხოვს სათანადოდ გაზომილ-აწონილ პასუხს ჩვენი სამშობლოს ყველა საზოგადოებრივი და პოლიტიკური ძალის, მათ შორის სახალხო ფრონტის მხრიდან — პასუხს არა მხოლოდ წამიერს, არამედ ისეთს, რომელსაც წლების შრომა და ბრძოლა სჭირდება.

მიუხედავად ამისა, სახალხო ფრონტი ვერ მოაკლებს ყურადღებას თავისი პოზიტიური საპროგრამო ამოცანების გადაჭრასაც, მაგალითად, შემდეგს:

საჭიროა დაუყოვნებელი ზომების მიღება ქართული სოფლის გაჯანსაღებისათვის. „რაკი ნახდა გლეხი კაცი, საქართველო დაძაბუნდა", — თქვა პოეტმა ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეში; დღეს საქართველოს დაძაბუნება პირველ რიგში ქართული სოფლის დაძაბუნებაა. სოფლად საქართველოს სახალხო ფრონტის პროგრამა ორმხრივია: ჯერ ერთი, რეალურად უნდა ალიკვეთოს მიწის დატაცება, უფრო ზუსტად — დამნაშავე ელემენტების მიერ მიწის გაყიდვა, რისი შემთხვევებიც მრავალი ათეული ათასი გვაქვს. მეორეც, იმ სოფლებში, რომლებსაც დაცლის საშიშროება ელის (ასეთი კი, მოგეხსენებათ, ჩვენი სოფელთა უმეტესობაა), მიწის კუთვნილი ნაკვეთი უნდა მიეცეს ყველას, ვისაც კი საამისოდ ოდნავი უფლება მაინც აქვს. უნდა მიეცეს უშურველად და უეკონომიოდ, თუნდაც ამისათვის კოლმეურნეობის ან მეურნეობის მთელი სავარგულის დარიგება გახდეს საჭირო, რადგანაც ქართულ მიწას იმაზე უფრო საპატიო და მნიშვნელოვანი დანიშნულება არა აქვს რა, ვიდრე ქართველი გლეხის ოჯახის გამოკვებაა. სახალხო ფრონტის დამოკიდებულება ოფიციალური ინსტანციებისადმი დიდად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ მოეკიდებიან ეს უკანასკნელნი ამ ამოცანის გადაჭრას.

გარდა ამისა, საჭიროა ფორმის გამონახვა საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელებისათვის სამართალდამცველი ორგანოების მუშაობაზე, რათა ალიკვეთოს კანონის სახელით განუკითხავი ძალადობა მოქალაქეზე; საჭიროა ქმედითი საზოგადოებრივი კონტროლი თბილისსა და სხვა ქალაქებში ბინების განაწილებაზე, რადგანაც ჩვენი ხალხისათვის, რომელიც, სამწუხაროდ, სასურველ ნორმაზე უფრო მეტადაა ურბანიზებული, უბინაობა ნორმალური დემოგრაფიული წინსვლის ხელშემშლელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ყველამ ვიცით, რა უწყალოდ ისპობა, იძარცვება, ითრგუნება საქართველოს ბუნება. საჭიროა ქმედითი მექანიზმების პოვნა და გამოყენება, რათა ალიკვეთოს ის მშენებლობები და სხვა ტექნიკური ღონისძიებები, რომლებიც ჩვენს ბუნებას ვნებს, არააღდგენადი ნედლეულის გატანის ჩათვლით, და განხორციელდეს ის ღონისძიებები, რომლებიც ბუნებას რგებს; საჭიროა ძირეული გარდატეხის მიღწევა განათლების სისტემაში, რაც ამ სისტემის მთელი პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლასთან ერთად სოფლის მასწავლებლის მდგომარეობის კარდინალურ შეცვლასაც მოითხოვს; საჭიროა საქართველოს ტერიტორიაზე ქართული საჯარისო ფორმირებების შექმნა, რათა განხორციელდეს ადამიანის ერთ-ერთი ძირეული ადამიანური უფლება — სამხედრო ვალდებულების მოხდა თავის სამშობლოში და თავისი სამშობლოს წინაშე — და რათა საქართველოს შეეძლოს თავის დაცვა, როდესაც ყველა, ვისაც არ ეზარება, ავტომატს სტაცებს ხელს და ქართველ მოსახლეობას ცეცხლს უხსნის, ქართველები რატომ ხართო.

დიახ, ყოველივე ეს საჭიროა და კიდევ ბევრი რამ სხვაც. ჩვენი დღევანდელი ცხოვრება იმგვარია, რომ სადაც არ უნდა მოჩიჩქნოთ, უფრო და უფრო ღრმა სოციალურსა და ეროვნულ წყლულებს აღმოაჩენთ; ამ წყლულთა გამრთელება ყველა საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციის, მათ შორის სახალხო ფრონტის ამოცანაა. მაგრამ ბუნებრივია კითხვა: **ყველა** წყლული გამრთელდება არსებულ პირობებში? **ყველას** ეკურნება ეროვნული დამოუკიდებელი სახელმწიფოს უქონლობაში? რა თქმა უნდა, ყველას ვერ ეკურნება. იმ ფასეულობათა არც თუ გრძელ ჩამონათვალში, რომლებიც პიროვნებასაც და ერსაც სხვა ყოველივეზე უფრო მეტად ულირს — თავისუფლება, პური და სამართალი — თავისუფლება, ალბათ, არა მხოლოდ ზნეობრივადაა პირველი, არამედ პრაქტიკულადაც. თუ ეროვნული თავისუფლება არა გაქვთ, ვერც სამართალი იქნება სრულფასოვანი და ვერც მატერიალური ცხოვრება — გამართული. მოვიყვანთ მარტივ მაგალითს. საქართველო იმიტომ კი არაა თავისუფლებას მოკლებული, რომ ღარიბია და თავს ვერ ირჩენს (ამას ხშირად გვეუბნებიან ხოლმე საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგენი), არამედ პირუკუ: საქართველო იმიტომაა ღარიბი თავისი მოსახლეობითურთ და მისი ეკონომიკა იმიტომაა თითქმის ნოლზე დასული, რომ სახელმწიფოებრივ თავისუფლებას მოკლებულნი ვართ, ვერ გვიწარმოებია ის, რაც გვინდა, ვერ ჩავრთულვართ მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ისე, როგორც გვინდა და როგორც ჩვენს ბუნებრივ მონაცემებს შეესაბამება, ვერ მოგვიხმარებია ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრე ისე, როგორც გვინდა. კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვან. ეროვნული საჯარისო ფორმირებები საჭიროა თავისუფლებისათვის. მაგრამ ეროვნულ საჯარისო ფორმირებათა ყოლასაც ესაჭიროება თავისუფლება. განა ის, ვისაც საქართველოს თავისუფლება არ ჰსურს, არ შეეცდება, რომ საქართველოს არ მოეპოვებოდეს ეროვნული თავისუფლების ერთ-ერთი საფუძველი — ეროვნული საჯარისო ფორმირებები?

ვითარებას სხვა, უფრო ღრმა განზომილებებიც აქვს. ეროვნულ თავისუფლებასაც საერთოდ და ეროვნულ სიჯანსაღესაც (ჯანსაღი საზოგადოების არსებობას) კერძოდ ერის შვილთა ზნეობრივი სიჯანსაღე სჭირდება. მეორეს მხრივ, საზოგადოების ზნეობრივ სიჯანსაღესაც სჭირდება ეროვნული თავისუფლება. არათავისუფალ საზოგადოებაში საერთოდ და არათავისუფალ ერში კერძოდ (მით უმეტეს — ისეთ ერში, რომელიც არც ეროვნულადაა თავისუფალი და არც სოციალურად) ითრგუნება მრავალი ისეთი უნარი, რომელიც თავისუფალი საზოგადოების შექმნას სჭირდება. ამგვარად, ჩვენს ზნეობრივ დაცემაში დიდი წილი უდევს ჩვენს ეროვნულ არათავისუფლებას. მაგრამ თავისუფლების დაბრუნებაშიც გვიშლის ის, რომ ზნეობრივად ის არ ვართ, რაც უნდა ვიყოთ, თუმცა ჩვენს მდგომარეობაში ჩავარდნილი სხვა, შესაძლოა, ჩვენზე უფრო მეტად იქნებოდა დაცემული.

ამიტომ აზრი არა აქვს საკითხის ასე დასმას: „ჯერ გავჯანსაღდეთ, გავმაგრდეთ და მერე ვიბრძოლოთ თავისუფლებისათვის თუ, პირიქით, ჯერ განვთავისუფლდეთ და ყველა დანარჩენი პრობლემის მოგვარებაზე მერე ვიფიქროთ". ორივე პრობლემა — თავისუფლებაც და გაძლიერებაც — ჩვენთვის აქტუალურია და ორივეზე დღესვე უნდა ვიზრუნოთ. თავისუფლების მეტი და მეტი ზომაც უნდა მოვიპოვოთ დღითიდღე და ჩვენი თავიც დღითიდღე უნდა გავწვრთნათ სულიერად, ფიზიკურად და მატერიალურად თავისუფლების მოსაპოვებლად. ცხადია, თავისუფლების მოპოვება მხოლოდ ევოლუციური პროცესი არაა. მაგრამ თავისუფლებისათვის ერის გამოღვიძება — მით უმეტეს, თავისუფლებისათვის ერის მიერ თავისი თავის გაწვრთნა — ევოლუციური პროცესია, რომელსაც ეროვნული ნების არა ერთხელობრივი, არამედ სტაბილური და ხანიერი დაძაბვა სჭირდება.

მოვიყვან კვლავ მაგალითს. „ცენტრის" ხელიდან ჩვენი ეკონომიკის გამოხსნა დღეს ერთხელობრივი აქტით არ მოხდება. საკავშირო დაქვემდებარებაში მყოფი ჩვენს მიწა-წყალზე მდებარე საწარმოები თითო-თითოდ უნდა დავუბრუნოთ ჩვენს ქვეყანას და თითოეული მათგანის დაბრუნებით ჩვენი თავი გამარჯვების განცდას უნდა შევაჩვიოთ, ეს განცდა ჩვენი ყოველდღიურობის ელემენტად უნდა ვაქციოთ. მაგრამ, მეორეს მხრივ, ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენი მიწა-წყლის, ჩვენი წიაღისეულისა და ბუნების ჩვენსავე საკუთრებად გამოცხადება (ეს საკუთრება ჩვენ წართმეული კი არა გვაქვს, არამედ ჩუმად მოპარული გვაქვს კონსტიტუციაში ბრეჟნევის მიერ განხორციელებულ ცვლილებათა შედეგად) ნაწილ-ნაწილ ვერ მოხდება. ეს ერთხელობრივი პოლიტიკური აქტი გახლავთ და მისი განხორციელებისათვის პოლიტიკური ბრძოლა დაგვჭირდება.

ყველამ ვიცით, რომ კაცობრიობის მომავალი არ არის იმპერიებად ცხოვრება, როგორც ზოგს ჯერ კიდევ წარმოუდგენია. იმპერია კაცთა ცხოვრების ორგანიზაციის დრომოჭმული ფორმაა და იგი დიდხანს ვერ იარსებებს. ეს ისტორიული გარდაუვალობაა და ძალიან მცირედ თუა დამოკიდებული ქართველებისთანა მცირერიცხოვანი ერის ნებაზე. მაგრამ **ვის რა დარჩება იმპერიათა ნანგრევებზე**, ეს კი ჩვენთვის უმწვავესი და ურთულესი პრობლემაა, რომლის გადაჭრაშიც ჩვენი თავის გარდა სხვა ვერავინ მოგვეხმარება. ამ პრობლემის სასიკეთო გადაჭრისათვის დიახაც მრავალმხრივი ბრძოლა დაგვჭირდება. ბრძოლას, მოგეხსენებათ, მომზადება სჭირდება, მრავალმხრივ ბრძოლას — მრავალმხრივი მომზადება. მაშ ვემზადოთ ჩვენი ამ პრობლემის გადაჭრისათვის საბრძოლველად თეორიულადაც (არგუმენტაციის მოპოვება და შექმნა), პრაქტიკულადაც, ეკონომიკურადაც, დემოგრაფიულადაც, პროფესიულადაც და მორალურადაც!

როგორც მკითხველს, ალბათ, მოეხსენება, სახალხო ფრონტი აპირებს ენერგიულ ბრძოლას საქართველოს უმაღლესი საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების მომავალ არჩევნებზე, რადგანაც **მორჩილი და უპრინციპო უმრავლესობის ყოლა საქართველოს უმაღლეს საბჭოში აუცილებელი პირობაა იმისა, რომ საქართველო კვლავ ჩააბან უვადო კაბალურ სამოკავშირეო ხელშეკრულებაში და ჩვენს ქვეყანაში მიწისა და სამართლის გამყიდველი თანამდებობების პირები დანიშნონ.** რა თქმა უნდა, საქართველოს სახალხო ფრონტმა კარგად იცის, რომ ის სახელმწიფოებრივი სტრუქტურა, რომელშიც დღეს საქართველო იმყოფება, სახელდობრ, საქართველოს ყოფნა სსრკ შემადგენლობაში ქართველი ხალხის ნების გამოხატულება კი არაა, არამედ ძალადობის შედეგია და, ამდენად, უკანონოა ამ სტრუქტურის მიერ განსაზღვრული ყველა მოვლენაც არსებული ოფიციალური არჩევნების ჩათვლით. ცხადია, რომ ერში უნდა იყოს **ვილაცა** (რომელიმე პოლიტიკური ჯგუფი ან ინდივიდი), ვინც ოფიციალურ არჩევნებს ბოიკოტს გამოუცხადებს, როგორც უკანონოს. მაგრამ მოწოდება **ქართველი მოსახლეობისადმი მთლიანად,** რომ „ბოიკოტი გაეწიოს საბჭოთა არჩევნებს", სახალხო ფრონტს დაახლოებით ისეთსავე უაზრობად მიაჩნია, როგორც მოწოდება „არ იხმაროთ საბჭოთა ტყვიები" იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში სამოქალაქო ომი ატყდა და ჩვენი თავის დაცვა დაგვჭირდა.

პრაქტიკამ მოიტანა და საზოგადოების ინტერესის საგანი გახდა სახალხო ფრონტის საქმიანობის **მეთოდები,** აგრეთვე სახალხო ფრონტის **დაინტერესების სფერო.** მეთოდებზე ის უნდა ვთქვათ, რომ სახალხო ფრონტი მიმართავს იმ მეთოდებს, რომელიც საქმეს სჭირდება (ამაზე ლაპარაკია ჩვენს პროგრამაში), მაგრამ არ მიმართავს იმ მეთოდს, რომლის მიწერა და ჩვენთვის დაბრალება დღეს ბევრ ვისმე ჰსურს — გამოძალვას, მათხოვრობას და სხვა ამგვარ მეთოდებს (დარწმუნებული ვარ, რომ იმათში, ვისაც ამ მეთოდების გამოყენება ჰსურს სახალხო ფრონტის სახელით, მეტია ე. წ. „შემოგზავნილი" პირები, ვიდრე საკუთარი ინიციატივით მოქმედი თაღლითები). რაც შეეხება ჩვენი დაინტერესების სფეროს, იგი მოიცავს ყველაფერს, რაც ეხება **საქართველოს ეროვნულ ინტერესებს და ადამიანის ძირეულ ადამიანურ უფლებათა დაცვას.** მოგეხსენებათ, ადამიანებს ბევრი რამ აწუხებთ სხვაც, მაგრამ ფრონტს იმის ძალა არა აქვს (და ვერც ექნება), რომ ყველაფერზე თავისი სიტყვა თქვას. ამისი ალბათ არც ზნეობრივი უფლება გვაქვს. მაგალითად: ჩვენ არ ჩავერევით და ვერ ჩავერევით მეზობლების დავაში ან საბინაო დავაში მოქალაქეებს შორის. მაგრამ შეძლებისდაგვარად (ჩვენი შესაძლებლობები ჯერ ძალიან მცირეა) შევეცდებით, რომ მრავალშვილიანი დედა ბინიდან გამოძევებულ არ იქნეს და წვიმაში ქუჩაში არ დარჩეს. მოგეხსენებათ, საზღვრის გავლება ამ შემთხვევაში ძალიან ძნელია. მაგრამ ჩვენ მაინც ვეცდებით, ეს საზღვარი სწორად დავიცვათ.

დასასრულ, ორიოდე სიტყვა საქართველოს სახალხო ფრონტის შემადგენლობაზეც უნდა ითქვას. ეს თემა, ერთის მხრივ, ორგანიზაციულიც არის, რამდენადაც არსებობს, მაგალითად, წინადადება (იგი მომდინარეობს ბათუმის რეგიონულ სახალხო ფრონტისაგან), რომ პირველად ჯგუფს ან სახალხო ფრონტის წევრს მოეთხოვებოდეს აქტიური საქმიანობის რაღაცა ხარისხი, როგორც სახალხო ფრონტში ყოფნის პირობა. დაამკვიდრებს თუ არ დაამკვიდრებს სახალხო ფრონტი ამგვარ პრაქტიკას, ეს მომავალი ყრილობის ნებაზე იქნება დამოკიდებული. მაგრამ, მეორეს მხრივ, ეს თემა ფსიქოლოგიურიცაა და არა მხოლოდ ორგანიზაციული. სახალხო ფრონტის მიზანია ეროვნული და პიროვნული უფლებებისათვის ბრძოლა და ამავე დროს საქართველოში ჯანსაღი საზოგადოებრივი სტრუქტურების შენება, ამგვარად, სახალხო ფრონტის წევრს ბრძოლის სურვილიც უნდა ჰქონდეს და შრომისაც, ან უკიდურეს შემთხვევაში, ამ სურვილთაგან ერთი მაინც. დავძენ: იმ ამოცანებისათვის ჭეშმარიტი, ნაყოფიერი, მართლაც თავდადებული შრომის უნარი, რაც სახალხო ფრონტის წინაშე დგას, ალბათ, მხოლოდ იმ ადამიანს ექნება, ვისაც საჭიროების შემთხვევაში ბრძოლის, ანუ თავის გამეტების უნარიც აქვს.

იმედია, რომ დღეს, გამოღვიძებულ ქართველ ერში ამგვარი უნარით აღჭურვილი ადამიანი ბევრი მოიპოვება.

**კიდევ ერთხელ ვცეთ თაყვანი ამ შეუქცევადი გამოღვიძების ერთ-ერთი შემოქმედის, მერაბ კოსტავას ნათელ ხსოვნას.**

**ნოდარ ნათაძე**

საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობის თავმჯდომარე.

# სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს მ. ს. გორბაჩოვს

პატივცემულო გენერალურო მდივანო და თავმჯდომარევ!

საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების მიერ 9 აპრილს თბილისში ჩადენილი მკვლელობის შემდეგ და პრესაში გაჩაღებული ანტიქართული კამპანიის შედეგად საბჭოთა არმიის ნაწილებში გახშირდა ქართველ ჯარისკაცებთან ანგარიშსწორებები, ჩვენ ხელთა გვაქვს ჯარისკაცების ან ოფიცრების მიერ მხეცურად მოკლულ ქართველ ჯარისკაცთა სია (36 კაცი). მკვლელობის ფაქტის უარყოფა არ შეიძლება იმის საფუძველზე, რომ რიგ შემთხვევებში ოფიციალურად სიკვდილის სხვა მიზეზებია მითითებული, უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენთვის არმიაში ქართველთა წამებისა და მკვლელობის ყველა ფაქტი არაა ცნობილი. ბევრი ქართველი ჯარისკაცი აწამეს, მაგრამ ცოცხალი გადარჩა. არსებობს სამხედრო ნაწილებში ქართველთა წამებისა და მკვლელობის ბევრი ცნობა. არის აგრეთვე ფოტომასალა. ქალაქ ლენინსკში (ყაზახეთის სსრ) დისლოცირებულ სამხედრო ნაწილში მყოფი 700-მდე ქართველიდან უკვე 4 კაცია მოკლული, დანარჩენებსაც იგივე ემუქრებათ.

ასეთ პირობებში არავისა აქვს უფლება, ქართველ ახალგაზრდებს მოსთხოვოს იმ არმიაში სამსახური, რომელმაც ჩვენი თანამემამულეების მასობრივი მკვლელობა ჩაიდინა და რომელშიც ქართველს დამამცირებელი სიკვდილი ემუქრება.

ასევე შეგახსენებთ, რომ მიუხედავად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებისა მოკავშირე რესპუბლიკების სამხედრო ნაწილების შესახებ, ამჟამად არ არსებობს ქართული ნაწილები, რაც ყოველი სუვერენული ერის წმიდათაწმიდა უფლების დარღვევაა. შეგახსენებთ, რომ საქართველო ანექსირებული ქვეყანაა და ამდენად, საბჭოთა არმიაში სამსახური შეიძლება განხილულ იქნას, როგორც საოკუპაციო. არმიაში სამსახური, რაც, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების თანახმად, დაუშვებელია იძულების საგანი გახდეს.

აღნიშნული გარემოებების გამო, უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართველი ახალგაზრდობა არ დაემორჩილება საბჭოთა არმიის რიგებში გაწვევას მიმდინარე წლის ოქტომბერ-ნოემბერში. საქართველოს სახალხო ფრონტი თავის უფლებად და მოვალეობად თვლის შეგატყობინოთ, რომ სავსებით უცხადებს სოლიდარობას იმათ, ვინც უარს იტყვის ამ პირობებში საბჭოთა არმიაში სამსახურზე, და დანაშაულად თვლის იმ ზომებს, რაც მათ დასასჯელად შეიძლება გამოიყენონ. საკუთარი სიცოცხლის, პირადი და ეროვნული ღირსების დაცვა ყოველი ადამიანის წმიდათაწმიდა უფლებაა. არავის აქვს უფლება ჩვენი ახალგაზრდები დამცირებაზე და სამხედროფორმიანი მხეცი-შოვინისტებისა და ველიკოდერჟავნიკების ხელით შესაძლებელ სიკვდილზე გააგზავნოს. ჩვენ მთელ ქართველ ხალხთან ერთად განზრახული გვაქვს, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დავიცვათ ჩვენი ახალგაზრდები.

დამნაშავეები, ჩვენი ახალგაზრდები რომ აწამეს არმიასა და ფლოტში, დღემდე ისევე არავის დაუსჯია, როგორც 9 აპრილს ჩვენი ქალებისა და გოგონების მკვლელები. არ დავუშვებთ, რომ ჩვენი ახალგაზრდები მათ ხელში ხვდებოდნენ.

საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობის წევრები:

**ნოდარ ნათაძე, სოლომონ ხუციშვილი, შოთა ნადირაშვილი, იზოლდა ჰილაძე, კობა იმედაშვილი, გოჩა გაგუაშვილი, ციალა ხვანიძე, თენგიზ კიკაჩეიშვილი, გიორგი მარჯანიშვილი, ზურაბ ყორანაშვილი, როსტომ ლორთქიფანიძე, შალვა ჭიჭუაშვილი, ავთო იმნაძე, ზურაბ პეტრიაშვილი, თემურ ბოქხაძე, რეზო ჩხეიძე.**

# რატომაა საჭირო ნაციონალური არმია

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი საბჭოთა ხალხების დისკრიმინაციისა გახლავთ ის, რომ მათ არ გააჩნიათ ნაციონალური არმია. არსებული არმია უაღრესად რუსულია, რადგან რუსულ ენაზე ფუნქციონირებს და მის შემადგენლობაში მყოფი არარუსი ხალხების წარმომადგენელთა დეგრადაციასა და დენაციონალიზაციას იწვევს. არმია სახელმწიფოებრივი ეროვნების განუყოფელი, ორგანული ნაწილია და მოწოდებულია დაიცვას მშობლიური მიწისა და საკუთარი ხალხის ღირსება. მოქალაქის საუკეთესო თვისებები, პატრიოტული მოვალეობის აღზრდა წარმოუდგენელია ნაციონალური არმიის გარეშე. მაგრამ საუბედუროდ, საბჭოთა კავშირში შემავალი ეროვნებები მოკლებული არიან ამგვარ შესაძლებლობას. ამიტომ გასაკვირი როდია, არარუსთათვის საბჭოთა არმიაში სამსახური ერთობ მძიმე ულელს რომ წარმოადგენს. თუკი რუსი მამაკაცი არმიაში სამსახურის გარეშე თავს არასრულფასოვნად მიიჩნევს, ხოლო რუსი ქალიშვილები ყველაზე მეტად ჯარისკაცებს აფასებენ, ასე როდია სხვა ეროვნების შვილთა ცხოვრებაში. ნებისმიერ ქართველ ჭაბუკს, თითქმის გამონაკლისის გარეშე, ჭირის დღესავით სძაგს არმიაში სამსახური და მისი მშობლებიც არაფერს ზოგავენ, როგორმე დაიხსნან ისინი ამგვარი უსიამოვნებისაგან. იგივე შეიძლება ითქვას სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებზე. არა, ვაჟკაცობა და ძალგულოვნება მათ არ აკლიათ, მაგრამ ცნობიერად თუ ქვეცნობიერად ნებისმიერმა, როგორც ჭაბუკმა, ასევე მშობელმა უწყის: სწორედ ეს არმიაა იმპერიის არსებობისა და მათი დამონებული მდგომარეობის განმამტკიცებელ-გამახანგრძლივებელი, ხოლო შეგნებული შოვინისტი რუსისათვის, როგორც იმპერიის გამარჯვებული შვილისთვის, ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს ჯარისკაცობით და ამგვარი არმიით თავის მოწონება. ხელისუფლებას ასეთი არმია ხალხების დაახლოებისა და ურთიერთშერწყმის ახპარეზად მიაჩნია. სინამდვილეში იგი მხოლოდ ხალხების „მკვლელობას“ უწყობს ხელს, რაც მათ უსაზო ნაცრისფერ მასად [illegible] [illegible] გასაკვირი, რომ ამგვარ არმიაში შეგნების დაბალი დონე ისადგურებს. ეგრეთწოდებულ „მოხუცთა“ მიერ ახალწვეულთა საყოველთაოდ ცნობილი ტერორიზაციის გარდა იქ აშკარად მძვინვარებს ველიკორუსული შოვინიზმით მოწამლული ეროვნებათაშორისი შუღლი. ბოლო ხანებში საბჭოთა არმიის რიგებში განსაკუთრებით გაძლიერდა არარუსი ჯარისკაცების აბუჩად აგდება და ჩაგვრა, მათ მიმართ ყაზარმებში სხვადასხვაგვარი წამების გამოყენება, ზოგჯერ სიკვდილითაც რომ მთავრდება. ამა წლის აპრილში საბჭოთა არმიაში საყოველთაოდ ცნობილი წამებით — „ლასტოჩკით“ — მოკლულ იქნა მოსკოვის ოლქის 528/8 ნაწილის ჯარისკაცი, ზემო ალვანელი მამუკა არაბული. სხვადასხვა მეთოდებით ამავე წელს მოკლულ იქნენ აგრეთვე ჯარისკაცები: გიგო თენგიზის ძე წკიპოშვილი, მამუკა კოსტას ძე იმედაძე, ხვიჩა გიგოს ძე თორლოშვილი.

მიმდინარე წლის ოთხი თვის განმავლობაში, როგორც მამუკა არაბულის მამის, ირაკლის, მთავრობისადმი გაგზავნილ განცხადებაში ვკითხულობთ, ქალაქ თბილისის აეროპორტის ტვირთამწე პერსონალის მიერ ფიქსირებულია საბჭოთა არმიის სხვადასხვა ნაწილებში მომსახურე ჯარისკაცთა მკვლელობის 28 შემთხვევა. იგივე წყარო გვამცნობს, რომ „ლასტოჩკით“ სხვადასხვა დროს უწამებიათ ჩეჩენი სათოევი, ქართველი ბრეკაშვილი, სომეხი მურადიანი. არარუსთა შეურაცხყოფის და წამების ამაზრზენ ფაქტებს მრავალი ჯარმოხდილიც ადასტურებს, მაშინ როდესაც მსგავსი მეთოდებით რუსი ჯარისკაცების წამების შესახებ თითქმის არაფერი ვიცით. აქედან და სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე, უზარმაზარი მნიშვნელობა ენიჭება ილია ჭავჭავაძის საზოგადოების მოთხოვნას ქართველი ახალგაზრდობის მიერ სამხედრო სამსახურის საქართველოში გავლის შესახებ. ერთიანი რუსულენოვანი არმია ისე ვით ერთპარტიულობა, ანუ არდაშვება ოპოზიციისა, ამასთან მთავრობის, სახელმწიფო ადმინისტრაციის პარტიისადმი, ცენტრალური კომიტეტისადმი დაქვემდებარება პირწავარდნილი ტოტალიტარიზმის [illegible] კაცის, გორბაჩოვის მცდელობანი, განახორციელოს ლიბერიზაცია მმართველობითი სისტემის საფუძვლიანი შეცვლის გარეშე, არავითარ სამომავლო გარანტიას არ იძლევა. ტოტალიტარიზმის დამლით განსაკუთრებით საბჭოთა არმიაა აღბეჭდილი, რადგან პირსისხლიან მონღოლებსაც კი, ხიმამაცისათვის სათმარ ოპერაციებში მონაწილეობას რომ აყალიბებდნენ ქართველებს, არასოდეს მოსვლიათ თავში საქართველოს სამეფოს გაუქმება, ქართული მხედრიონის მონღოლთა ჯარში აღრევა და გათქვეფა. ნაციონალური არმია ერთა დამოუკიდებლობის უმთავრესი ნიშანსვეტია და ამ თვალსაზრისით ვარშავის პაქტის ერები აბსოლუტაც ვერ მოვლენ ნატოს ქვეყნებთან. ნატოს ხალხებისა და არმიების უფლებები აშკარად თანაბარია. ნებისმიერი მათგანისათვის გარანტირებულია სამხედრო და ეკონომიური—კავშირიდან გასვლის თავისუფლება და მათთვის რომელიმე იდეოლოგიის, ან ენის, გარედან თავს მოხვევას არა აქვს ადგილი. ვარშავის პაქტის ქვეყნებს თუმცა გააჩნიათ ეროვნული არმიები, მაგრამ ყოველი მცდელობა რომელიმე მათგანის კავშირიდან გასვლისა მუდამ სისხლიანი ტრაგედიით გვირგვინდებოდა, რუსის ჩექმა თავსმოხვეული მარქსისტული იდეოლოგიიდან გამოთავისუფლების საშუალებასაც არ აძლევს მათ. სსრკ-ში შემავალ ხალხებს კი, როგორც აღვნიშნეთ, არა თუ არმია, საკუთარი სამხედრო ნაწილებიც არ მოეძევება. ზემოაღნიშნულის შემდეგ თვალსაჩინო ხდება კარდინალური განსხვავება აშშ-ს და სსრკ-ს შორის. პარტნიორი ქვეყნებისადმი დამოკიდებულებაში პოტენციური უპირატესობის მიუხედავად, აშშ უდავოდ თანასწორუფლებიანი პარტნიორია ნატოს დანარჩენი ქვეყნებისა. იგი ცდილობს თითოეულმა მისმა მოკავშირემ რაც შეიძლება მეტი თანხა გაიღოს საკუთარი ეროვნული არმიის გასაძლიერებლად, მაშინ, როდესაც თბილისში მომხდარი 1956 წლის 9 მარტის სისხლიანი ტრაგედიის შემდეგ სსრკ-ში სავსებით გააუქმეს თითო-ოროლად შემორჩენილი ეროვნული ჯარის ნაწილები. მისი ოფიცრობა თადარიგში გაუშვეს. ვერც პრეზიდენტი, ვერც ნებისმიერი სამთავრობო კაბინეტი [illegible] ერთა სახელმწიფოებრიობის იმგვარ გარანტიას, როგორც ძლიერი ნაციონალური არმია. ასე რომ, შეერთებული შტატები პარტნიორთა სამხედრო პოტენციალის გაზრდით განამტკიცებს და განამტკიცებს ამ ერების სახელმწიფოებრიობას, ხოლო საბჭოთა კავშირმა პირიქით, იმიტომ მოსპო ჯარის უკანასკნელი ეროვნული შენაერთები, რომ ამ ხალხებში საბოლოოდ მოესპო სახელმწიფოებრიობის ნებისმიერი ელემენტი, გადაშენების გზაზე დაეყენებინა სსრკ-ში შემავალი ერები, რითაც დაამტკიცა, რომ მსოფლიოში ერთადერთ იმპერიად რჩება.

ამგვარია რუსეთის ნდობა საქართველოსა და ეგრეთწოდებული რესპუბლიკების მიმართ. აშკარად ვხვდებით, თუ რატომ უგულვებელყოფს იგი ერთა სუვერენულობის უცილობელ ატრიბუტს, ნაციონალურ არმიას. იმპერიის მესვეურებმა უწყიან, რომ საქართველოში ქართული ჯარის ნაწილების ჩამოყალიბება და მათში ქართული ენის ფუნქციონირება აშკარად დაანახებს ქართველობას, თუ რა ურყევი და ორგანულია კავშირი სამშობლოს ჭეშმარიტ გაგებასა და ეროვნულ არმიას შორის, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამგვარ კავშირს ჯანსაღი ფსიქიკის ჩამოყალიბებისათვის. მხოლოდ ასე თუ ამოიძირკვება ქართველების შეგნებიდან ღირსების შემლახველი აზრი: რომ თითქოს საქართველოს ურუსეთოდ, ანუ დამოუკიდებლად არსებობა არ შეუძლია. დიახაც შეუძლია და ვერც სპარსეთი და თურქეთი დააკლებს რამეს, თუკი საკუთარი ძალებისადმი რწმენა დამკვიდრდება ქართველთა გულებში. ამგვარი რწმენის დამკვიდრება კი სხვა ყველაფერთან ერთად ეროვნული არმიისათვის ზრუნვით უნდა დაიწყოს. ქართველებმა სამხედრო სამსახური საქართველოში უნდა გაიარონ. ამით და აქედანვე უნდა ჩაეყაროს საფუძველი ეროვნული არმიის შექმნას, როგორც ქართული [illegible] გარანტიას. საქართველო ქართველების საკუთრებაა და სახელმწიფოებრივი უფლებების განმტკიცებით ეროვნული მეობის განმტკიცება, თვითდამკვიდრებისა და პარტნიორ სახელმწიფოებთან გულწრფელი დამოკიდებულების ერთადერთ საწინდრად მიგვაჩნია. მხოლოდ ეროვნული არმიებით თვითდამკვიდრებულ პარტნიორ სახელმწიფოებს შორის შეიძლება ნაღდი, ურღვევი [illegible] მეგობრობა. [illegible] უძლებელია საკუთარ [illegible] თარი თავის ბატონ-პატრონობა და ჭეშმარიტი მასპინძლობა. ოდესღაც დავით აღმაშენებლისდროინდელი საქართველოს სიძლიერე სხვა ყველაფერთან ერთად როქისხნის შექმნამაც განაპირობა. მორიგე ჯარის შექმნისათვის ამაოდ როდი ირჯებოდა ერეკლე მეორე და სწორედ ამ იდეის ვერგანხორციელებამ ითამაშა ერთ-ერთი უმთავრესი როლი საქართველოს სამეფოს გაუქმებაში. სხვა რომ არა იყოს რა, ქუდზე კაცის დაძახება გამუდმებით უხდებოდა მთელი ისტორიის მანძილზე ქართველ სარდლობას. ვაჟკაცობაში გამუდმებით იწრთობოდა ერი, დღეს კი ამ სამართალდაცლილი მშვიდობის სიმდორეში, წელკავმა დააძაბუნა ოდესღაც დუშმანის თავზე რისხვის დამთესებელი ქართველი მამაკაცი. მას აშკარად აკლია სულისა და სხეულის წრთობისათვის აუცილებელი ეროვნული არმია.

ეროვნულ არმიაში ათეულისა და ასეულის თითოეული წევრი უთუოდ იგრძნობს განსაცდელისას ურთიერთის სიცოცხლისათვის უზარმაზარ პასუხისმგებლობას და ამგვარ შემთხვევაში კაცი ღმერთს ეკუთვნის და არა საკუთარ თავს. ასეთი ომი, ჰერაკლიტე ეფესელის თქმისა არ იყოს, „ყველაფრის ღმერთია“, ამგვარ არმიაში ერთნაირად ბათილდება სიტყვა სავალდებულო, იძულების ის უსიამოვნო განცდა, საბჭოთა არმიაში რომ სუფევს, დამპყრობლურ არმიათა საპირისპიროდ. ასეთია სამშობლოს დამცველთა არმიის მორალური უპირატესობა.

ზემოთქმულის შემდეგ ერთადერთი დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ. რუსეთის პარტნიორობას ვერ ვიწამებთ, სანამ სსრკ-ში შემავალ ეგრეთწოდებულ რესპუბლიკებს ეროვნული არმიების შექმნის უფლებას არ მისცემს. მანამდე იგი აშკარად დამპყრობლის როლში გვესახება. ხოლო ქართველ მშობლებს მოვუწოდებთ, აღიჭურვონ და იბრძოლონ, რათა მათმა შვილებმა სამხედრო სამსახური საქართველოში გაიარონ, ამასთან, ეროვნულ არმიაში, რადგან არსებულ პირობებში [illegible] სამსახურს ისევ ციხეში ჯდომა სჯობია.

**მერაბ კოსტავა**

1989 წლის 10 აგვისტო.

წმინდა ილია მართლის საზოგადოების სამხედრო საქმეთა კომისიის საინფორმაციო ბიულეტენი. № 2, 1989 წ.

---



# კმარა!

1988 წლის 26 მაისს, დღის 5 საათზე, ქართული საზოგადოების ერთი ნაწილი ერეკლეს მოედანზე შეიკრიბა, რათა აღენიშნა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის 70 წლისთავი. საბოლოოდ, მიზეზთა და მიზეზთა გამო, შეკრებილთა დიდი უმეტესობა „ბერიკონის“ დარბაზში აღმოჩნდა, სადაც საიუბილეო აქციის ჩატარება მაინც მოხერხდა.

ახლა ჩვენ არ შევუდგებით ამ მრავალმხრივ საგულისხმო შეკრების აღწერას, აღვნიშნავთ მხოლოდ ერთ მომენტს — აქციის ერთ-ერთმა მოთავემ, ირაკლი ბათიაშვილმა, დამსწრე საზოგადოებას შეატყობინა რამდენიმე ტრაგიკული შემთხვევა, რაც ქართველ ახალგაზრდებს დაატყდათ თავს საბჭოთა არმიის რიგებში სავალდებულო სამხედრო სამსახურის დროს. შემდეგ მან შეკრებილთ გააცნო საქართველოს ცკ-ის მაშინდელი პირველი მდივნის, ჯუმბერ პატიაშვილის, სახელზე შედგენილი მიმართვის ტექსტი. მიმართვაში ნათქვამი იყო, რომ საქართველოში მცხოვრებმა ახალგაზრდებმა სამხედრო სამსახური უნდა გაიარონ საქართველოში. დამსწრე საზოგადოებამ მიმართვას ხელი მოაწერა.

იმავე წლის სექტემბერში არაფორმალურმა ორგანიზაციებმა შექმნეს სამხედრო საქმეთა კომისია, რომელსაც დაევალა ჩვენი რესპუბლიკიდან გაწვეული ჯარისკაცების მდგომარეობის შესწავლა სამხედრო ნაწილებში, სადაც ისინი მსახურობენ. კომისიას ხელთა აქვს თვით ჯარისკაცებისა და მათი მშობლების მიერ დაწერილი უამრავი განცხადება სხვადასხვა ინსტანციებისადმი, რაიმე დახმარების აღმოჩენის იმედით, კომისია აგრეთვე აგროვებს სამხედრო ნაწილებიდან გამოგზავნილ წერილებს, საიდანაც შემაძრწუნებელი ამბები ირკვევა.

იმ ხანად, ე. ი. გასული წლის შემოდგომაზე, ბუნებრივია, ადგილობრივი თუ საკავშირო მთავრობების სახელზე გაგზავნილ მიმართვებს არავითარი შედეგი არ მოჰყოლია...

ბევრი რამ შეცვალა 9 აპრილმა. ქართველმა ხალხმა მთელი სიმძაფრით იგრძნო, რომ მათი სასიცოცხლო ინტერესების გამომხატველი მოთხოვნების შესრულების გადავადება საფრთხეს უქმნის ერის არსებობას. ჩვენს წინაშე მდგარ პრობლემათა შორის ღირსაც უპირველესია წვევამდელების საკითხი, ეროვნულ-საჯარისო ფორმირებების შექმნა.

ეს ყველაზე მტკივნეული პრობლემაა არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ წმინდა ადამიანური თვალსაზრისითაც, რადგან დაკავშირებულია ახალგაზრდების სიკვდილ-სიცოცხლესთან. სამხედრო საქმეთა კომისიას ხელთა აქვს უამრავი გულის შემზარავი ფაქტი, რომელთა უბრალო თვალის გადავლებაც ნათელს ხდის, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის შემდეგ სულიერად და მორალურად დაღდასმულები იქნებიან ისინიც, ვინც ფიზიკურ განადგურებას გადაურჩება.

ზემოთქმული ლიტონ სიტყვებად რომ არ დარჩეს, გავაცნობთ გივი გუმბარიძის სახელზე დაწერილ 1 განცხადებას:

**მოგახსენებთ, რომ ამა წლის 18 მაისს გამიწვიეს ჯარში. 18 აგვისტოს ჩამოვედი მამის ავადმყოფობის გამო. სამხედრო ნაწილში ყოფნის დროს ქართველებს საშინლად „გვეპყრობოდნენ. პროპორშჩიკებდან დაწყებული „კამბატამდე“ ყველა გვლანძღავდა, გვცემდა. საშინელი დღით გვაყურყუტებდნენ კომენდატურაში, სადაც ჭერ ეროვნებას გვეკითხებოდნენ და როდესაც გაიგებდნენ, ქართველები ვიყავით, გვეუბნებოდნენ 9 აპრილს თქვენ დახოცეთ ჩვენი თანამემამულე ჯარისკაცებიო. ამის შემდეგ შეგვყავდით პატარა ოთახში და სასტიკად გვცემდნენ. როდესაც შეატყობდნენ, რომ ფეხზე დგომა აღარ შეგვეძლო, ჩამოგვკიდებდნენ თოკებზე, ორი კაცი ზურგზე დაგვაჯდებოდა და ქანაობდნენ. საპირფარეშოში არ გვიშვებდნენ, წყალს არ გვაძლევდნენ. ყაზარმაში ქართველებს 100 მანეთს სთხოვდნენ. სამ დღეში თუ მიუტანდნენ, ცოცხალი დარჩებოდნენ, თუ არა, ცემით კლავდნენ (9 აპრილის შემდეგ ჩვენთან სამი კაცი მოკლეს). საშინელი ძალით ურტყამდნენ ავტომატის კონდახს და უკვე ფეხზე დგომა რომ აღარ შეეძლოთ, ჰოსპიტალში მიჰყავდათ. უფროსები რომ გაიგებენ ქართველის სიკვდილს, ამბობენ, ყველა ქართველი ასე მოკვდებით, ცოცხლები ვერ წახვალთ აქედანო.**

**გოჩა წიქარიშვილი,**
რუსთავი.
22 აგვისტო.

კომისიამ აგრეთვე გამოგვცა თავისი სისასტიკითა და ცინიზმით შემზარავი ფოტო, რომელზეც აღბეჭდილია 1989 წლის ივლისში ყაზარმაში მხეცური ცემისა და წამების შედეგად მოკლული რუბენ ჯემალის ძე ართმელაძე, დაბადებული 1969 წელს. იგი 1988 წელს ჩოხატაურის რსკ-დან გაიწვიეს. სამხედრო სამსახურს გადიოდა ქალაქ ლენინსკში.

ალბათ მკითხველის გაოცებას გამოიწვევს ამ ფოტოს არსებობის ფაქტი. გაცნობებთ, რომ ფოტო არც ფარული კამერითაა გადაღებული და მის მოსაპოვებლად არც არავითარი რთული ფანდი არ გამოუყენებიათ. საქმე ისაა, რომ აღნიშნული ჯარის ნაწილში სრულიად აშკარად და დაუფარავად აჩვენებენ ამ ფოტოს ქართველებს, რათა მუდამ ახსოვდეთ, რა ემუქრება მათ.

ა. წ. 26 მაისს სამხედრო საქმეთა კომისიის ინიციატივით თბილისში დაიწყო წვევამდელთა საპროტესტო აქცია შიმშილობით. უნდა აღინიშნოს, რომ 2 დღით ადრე ქალაქ ფოთში 39 წვევამდელი დაჯდა საშიმშილოდ. ამ აქციას ხელმძღვანელობდა წმინდა ილია მართლის საზოგადოება და სახალხო ფრონტი.

თავდაპირველად თბილისის აქციაში 25 კაცი იღებდა მონაწილეობას, აქციამ ერთ თვეს გასტანა და მონაწილეთა რიცხვმა 350-ს მიაღწია. საპროტესტო აქციამ მთელი საქართველო მოიცვა.

საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ერთი ჯგუფი საქართველოში შექმნილი მეტად რთული ვითარების თაობაზე შეხვდა სსრკ თავდაცვის მინისტრს ბატონ იაზოვს, რომელმაც მათ გარკვეული შემწეობა აღუთქვა. რაღაც დაპირებები სხვადასხვა მხრიდანაც ისმის ხოლმე, ორიოდე დღის წინ საქართველოს სამხედრო კომისარმა ლევან შარაშენიძემ ამცნო საქართველოს ტელემაყურებლებს, რომ რესპუბლიკაში დასარჩენ წვევამდელთა პროცენტი 25-მდე გაუზრდიათ.

ჩვენთვის უცნობია, რა პრინციპით უნდა იხელმძღვანელონ მათ, როდესაც დადგებიან ამგვარი დილემის წინაშე ყოველი 100 წვევამდელიდან მხოლოდ 25 დაიცვან გარდაუვალი ტანჯვა-წამებისა და მოსალოდნელი დაღუპვისაგან. თუ ისინი, ვისაც ამგვარი გამიჯვნა ხელეწიფება, თავს იმით იმშვიდებენ, რომ ქართულ ფოლკლორშიც მოიძიება ანალოგიური ამბავი ჩიტოჩიორას შესახებ, რომელიც უყოყმანოდ წირავს ბატონ მელას სათითაოდ ბარტყებს, რათა ერთი მაინც გადაარჩინოს, ნუ დაავიწყდებათ, რომ საბოლოო ჯამში ბატონი მელა ყველა ბარტყს გადასანსლავს და თვით ჩიტი-ჩიორასაც იგივე დღე დაადგებოდა, მონადირე რომ არა. ზღაპრისაგან განსხვავებით, ნუ ექნებათ მათ კეთილი მონადირის იმედი...

დღესდღეობით ამ პრობლემასთან დაკავშირებით საქართველოში კვლავ მძიმე ვითარებაა.

როგორც ვიცით, 9 აპრილის შემდეგ ჩვენში უკვე ოფიციალურად დაისვა საკითხი 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევისა და საქართველოს რესპუბლიკის ანექსიის შესახებ ეს ფაქტი ჯერჯერობით ოფიციალურად არ ულიარებია კრემლს, მაგრამ ამისდა მიუხედავად ფაქტი ფაქტად რჩება. აქედან გამომდინარე, როდესაც ა. წ. 11 ოქტომბერს თბილისში (ახლა საქართველოს ბევრ რაიონებშიც) მჯდომარე გაფიცვის სახით განახლდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლასთან დაკავშირებული საპროტესტო აქცია. მასში მონაწილე წვევამდელების მოთხოვნამ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო.

1949 წლის 12 აგვისტოს ხელმოწერილი იქნა ჟენევის კონვენცია. ამ საერთაშორისო დოკუმენტის თანახმად, მაოკუპირებელ სახელმწიფოს არ შეუძლია აიძულოს მფარველობაში მყოფი პირები, რომ მათ იმსახურონ მის შეიარაღებულ, ან დამხმარე ძალებში.

ამ საერთაშორისო დოკუმენტზე საბჭოთა კავშირსაც აქვს ხელი მოწერილი. ამდენად, საქართველოში მცხოვრებ წვევამდელებს, როგორც ოკუპირებული ქვეყნის წარმომადგენლებს, უფლება აქვთ უარი განაცხადონ სსრ კავშირის საოკუპაციო ჯარებში სამსახურზე და დააბრუნონ სამხედრო ბილეთი (მიწერის მოწმობა).

საპროტესტო აქციის მონაწილენი მიიჩნევენ, რომ ხელისუფლების ყოველგვარი მცდელობა, რათა

(გაგრძელება მე-8 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიუხველ მამა-პაპათა

# ამოლეგულის ხანჯრითა

აპრილის გლოვის შემდეგ ასეთი რამ არ ახსოვს თბილისს. ადრეც თუ იშვიათად დაუტირია საქართველოს ასე გულამოსკვნით ვინმე. იშვიათად თუ შეუკრავს მთელი ერი ასე მკვრივად ტრაგედიას — დიდ ეროვნულ ტრაგედიას. გამორჩეულად იცხოვრა, გამორჩეულად ეწამა და ამიტომაც მიაგებს მშობელი ხალხი გამორჩეულ პატივს თავის ეროვნულ გმირს. ესეც ერთ-ერთი სასიკეთო ნიშანია ერის გამოფხიზლებისა, რომელიც ამდენი ხნის მონობის შემდეგ ჭეშმარიტმა მამულიშვილებმა და, მათ შორის, უპირველესად მერაბ კოსტავამ შემოაბრუნეს ალმასვლის გზისკენ. ერთი წუთით არ გაუხარია საქართველოს ძნელბედობის შემყურეს, ერთი წუთით არ უფიქრია პირადულზე დიდებულ ქართულ ოჯახში აღზრდილ დიდ ქართველს. თუ რამ ებადა, მამულს შესწირა; საქართველო იყო მისთვის ფიქრი და ოცნება. ჩვეულებრივადაც რომ ეცხოვრა, მაინც ყველასგან განსხვავებული და პატივსაცემი იქნებოდა, მაგრამ ჩვეულებრივად არ იცხოვრა, არც შეეძლო ეცხოვრა, ადრე, საქართველოს ძლიერების სანატრელი ხანიდან გადმოსულ რაინდს. რაში იმალებოდა ამ დიდბუნებოვანი ადამიანის სიძლიერე, სად იტევდა ამდენ სიკეთეს, ამდენ სატკივარს, ამოდენა გულს? უბრალოდ, ჩვენ ყველამ დავივიწყეთ მარადიული ჭეშმარიტებანი, მოყვასისათვის, მამულისათვის თავგანწირვა გავიუცხოვეთ და ამ ძნელბედობის ჟამს იმედად, ბურჯად გვევლინებოდა ჩვენს შორის მოარული ცოცხალი ეროვნული სინდისი, ეროვნული მოძრაობის ღირსება, და დროშა — მერაბ კოსტავა. როცა არ უნდა დაბადებულიყო, წარსულში თუ მომავალში, ერის უპირველეს შვილთა შორის იქნებოდა და თავისი კაცობით, სიწმინდით, ლომგულობით, სათნოებითა და [illegible] დარჩებოდა ჩვეულებრივ მოკვდავთათვის, ისევ მათ გადასარჩენად და იმედად მოვლენილი. წინაპართა წმინდა სულებმა უხმეს უკვე დიდ წინაპრად ქცეულ ჩვენი თაობის გზის მაჩვენებელს. ღმერთმა მოგვცეს ძალა, გვევლოს ერთადერთი, ჭეშმარიტი, აღმასვლის, გადარჩენის გზით, რომელიც თავისი ხანმოკლე სიცოცხლითა და შემზარავი სიკვდილით ლამპარივით გაგვინათა მერაბ კოსტავამ.

საქართველოს სახალხო ფრონტი



ხურათზე: მერაბ კოსტავას ცხედრის გადასვენება სიონის ტაძარში, 19 ოქტომბერს.

ამ ორიოდე დღის წინ ჩემმა უმრწემესმა ვაჟიშვილმა, შვიდი წლის საბამ მკითხა, ვინ არისო მერაბ კოსტავა.

ბავშვის მიერ დასმული ეს კითხვა მოითხოვს ზუსტ და შეძლებისდაგვარად ამომწურავ პასუხს. თუმცა შეიძლება კი დიდბუნებოვანი ადამიანი ვინმემ სრულად და ამომწურავად დაახასიათოს? ალბათ არა, მაგრამ ეს კითხვა ისეა დასმული, რომ არა მხოლოდ ყოველი ჩვენგანის მიმართებას გულისხმობს მერაბ კოსტავას ფენომენთან, არამედ ყველა ჩვენგანისასაც. ყველა ჩვენგანის ერთობლივ დამოკიდებულებას. სწორედ დღეს, ამ გაჭირვების ჟამს, მეოცე საუკუნის ბოლოს... ქართველი კაცისა და საქართველოს დამოკიდებულებას ადამიანთან, რომლისთვისაც საქართველო იყო საწყისი და სასრული ყოველივესი და ყველაფრისა.

მერაბ კოსტავა არ ყოფილა არც დიდი მწერალი, არც დიდი მეცნიერი, არც დიდი ხელოვანი. იგი დიდი მამულიშვილი გახლდათ. უკომპრომისო, უშიშარი და უერთგულესი.

მას არაფერი დარჩენია ამ ქვეყნად, საქართველოს გარდა, ამიტომაა, რომ მისი ჰირისუფალიც მთლიანი საქართველოა, რადგან მასში განსხეულდა სამშობლოსთვის თავგანწირვის უწმინდესი და უმაღლესი იდეა.

მერაბ კოსტავა მრავალმხრივ საჩინო და მისაბაძი პიროვნება გახლდათ, მისაბაძი არამარტო საქართველოს სიყვარულით, არამედ ჭეშმარიტად ქრისტიანული კაცთმოყვარეობითაც.

# ჩვენი გაუტეხელი სინდისი

სწორედ ამიტომ იყო, რომ მასთან ყოველთვის ნახულობდნენ საერთოს ერთმანეთთან შეურიგებელი ადამიანები. ქრისტიანულად მიმტევებელი იყო, გამგები და მომთმენი.

კიდევ კარგი, რომ უსინდისოთა აღზევების ეპოქაში იგი და სხვადასხვა თაობის გამორჩეული ქართველები თვალხმიერად გვიჩვენებდნენ ყველას, რომ სამშობლოსათვის ღვაწლი და პატიოსნად ცხოვრება უპირველესი დანიშნულება და უდიდესი ღირსებაა ჭეშმარიტი ადამიანისა.

ტრაგიკულად ამაღლებული იყო მერაბ კოსტავას ცხოვრება, იგი პოლიტიკური საქმიანობისათვის პირველად 1956 წელს დააპატიმრეს. მაშინ მერაბი ჩვიდმეტი წლისა იყო. ღიდხანს არ მჯდარა. ოთხ თვეს იყო დაპატიმრებული. განთავისუფლების მერე მან და ზვიად გამსახურდიამ თავის თანამებრძოლებთან ერთად დაიწყეს შორსგამიზნული პოლიტიკური ბრძოლა ადამიანის უფლებების დაცვისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. 1977 წელს საქართველოს ჰელსინკის ჯგუფის წევრები — იგიც და ზვიად გამსახურდიაც — ხელმეორედ იქნენ დაპატიმრებულნი.

მერაბ კოსტავას ხუთი წელი მიუსაჯეს, მაგრამ შორეულ გადასახლებაში მან ათი წელი გაატარა. იგი იქაც შეურიგებლად იცავდა არა მარტო თავის, არამედ ყველა პატიმრის ღირსებას და ის ზედმეტი ხუთი წელი სწორედ ამ შეურიგებლობის საზღაური გახლდათ.

მერაბის გადასახლებაში ყოფნის დროს, თბილისში ტრაგიკულად დაასრულა სიცოცხლე მისმა ვაჟიშვილმა, დიდი იმედების მომცემმა პოეტმა და სათუთი სულის მქონე ახალგაზრდა კაცმა — ირაკლიმ.

ძნელი ცხოვრება ჰქონდა მერაბ კოსტავას. ყველა სიმწარე და ყველა ტკივილი მიაყენა მას ჩვენმა სინამდვილემ, მაგრამ იოტის ოდენადაც არ გაბოროტებულა. პირიქით. მე მგონი სწორედ ამ დიდმა ტკივილმა გახადა იგი გამგები და მიმტევებელი. ვინ იტვირთებს დღეს მის ღვთისმოსავურ მისიას. ვის ძალუძს იყოს მასავით გამგები და სამართლიანი, მასავით უკომპრომისო და მიმტევებელი?

დღეს... ცრნი და შეუბრ... ერთმანეთის მიმ... სტავას ეს შეს... ბევრის მთქმელი... წავლებელი უნდა... სთვის.

ზემელზე, რუს... წინ მთელი ეს დ... ბელი რიგი დგას... ვილის პირველ... ნებულია ნეშტი... გზაზე ტრაგიკულ... მერაბისა. დილიდ... მემდე დგას აქ ხ... ვეთილის მისალებ... გქონდეს ქონება... მეიძლება არ გყავ... საობა და გყავდ... რისუფალი, შეიძლ... გვარის გამგრძელ... გყავდეს უამრავი... კვალზე შემდგარი...

ვინ იყო მერაბ... მუდამ ფხიზელი...

ბედმა მდევარმა... და უკომპრომისო... მას ცხოვრების... იცის, იქნებ თბი... ზეთში ულევთოდ... ლებმა მოუხმეს... მათთან არის, მათ... ველოსთვის თავგ... წინაპრებთან და... ნაგანი მღელვარებ... ლვით გადმოგვცქ... ლოდ ერთ რამეს... გადარჩით და გა... რთველო.

კობა...

# თავისუფლებისათვის დაცემუ…

ისტორიამ კიდევ ერთი „საშვილიშვილო სამარე" შესძინა მთაწმინდის მიწას. იქ, ძვირფას საფლავებს შორის, სამუდამო განსასვენებელი ჰპოვა თავისუფლებისათვის დაცემულმა, მაგრამ ბოლომდე გაუტეხელმა რაინდმა.

ალსავლის კარიბჭე ასე ფართოდ იშვიათად გახსნილა ჩვენი საუკუნის საქართველოში...

ძალმომრეობაზე დაფუძნებული უსამართლობის ფერხული, არნახული ჩაგვრა და დამდაბლება ერისა, დამამცირებელი უუფლებობა კაცისა და ზვაობა ბოროტებისა — აი, ახლანდელი სურათი ერთ დროს ღვთით აღზევებული ივერიისა. ასე დაგვიქციეს და გაგვიუერანეს მშობელი ქვეყანა ქრისტესა და თავისუფლების დაუძინებელმა მტრებმა. მათ, ვინც ცეცხლითა და მახვილით შემუსრეს ახიათასობით ქართველთა სიცოცხლე, წაგვიბილწეს ეკლესია-მონასტრები, ფეხით გაგვითელეს კეთილისმყოფელი ხატები და არაერთგზის სისხლში ჩაგვიხშეს ქართველად გაჩენის სიხარული. თვით ყოვლისშემწყნარებელ ზნემაღალ კაცსაც კი არ ძალუძს ყოველივე ამის მიტევება. არადა, ჩვენი სათაყვანებელი მერაბ კოსტავა სწორედ ასეთი კაცი იყო. თუკი ვინმე სძულდა, საქართველოს მტრები სძულდა [illegible] ქრისტიანს, მხოლოდ ალამაღლებდა ბოროტების ამგვარი მძულვარება. ამიტომაც იქცა იგი თავისი ხალხის ისტორიული ბედისწერის თანამოაზრედ. მან, ვითარცა ჭეშმარიტმა გმირმა, მოწამებრივი ცხოვრებით განვლო ზეციური სასუფევლისკენ მიმავალი გზა და ამ ძნელ გზაზე შეუბღალავად გამოატარა მარად დაუთრგუნველი ქართული სული. ვერც ათასგვარმა განსაცდელმა, ვერც საპყრობილემ და ვერც თვით სიკვდილმა ვერაფერი დააკლო მის სიდიადეს. მართლმორწმუნის ჭიუტი ერთგულებით იწამა მან საქართველოს უკვდავება და ამ რწმენის მეოხებით გაუძლო გაუსაძლისს. სწორედ ასეთი კაცის მისამართით იტყვიან: „შენ უგუნურთა მათ შემწირველთა შენთა მახვილითა და ცეცხლითა უმეტეს ალისა განგაბრწყინეს. ვერ გულისხმა ყვეს უგულისხმოთა მათ სიტყვაჲ უფლისაჲ, ვითარმედ: „იყოს ყოველმან, რომელმან მოგწყვიდნეს თქვენ, ჰგონებდეს, ვითარმედ მსხვერპლი შეწირა ღმრთისა"...

[illegible] ნიშნავდა: „ილია რომ ჩვეულებრივი პარტიული საშუალო კაცი ყოფილიყო, მას მუდამ გამოუჩნდებოდნენ მიმდევრები და მოწაფეები, მაგრამ დიდი კაცი მუდამ უმემკვიდრეოდ კვდება, რადგან დიდი კაცი ყოველთვის დიდი საფრთხეა იმ სოციალური წრისთვის, რომელშიაც მას ბრძოლა და მოქმედება უხდება"... არც მერაბ კოსტავა ყოფილა „ჩვეულებრივი პარტიული, საშუალო კაცი". ასეთი „კაცები" ისედაც საკმარისად ჰყავს საქართველოს. იგი ნამდვილი ერისკაცის განსახიერებას წარმოადგენდა და ვერასგზით ვერ თავსდებოდა „პარტიულ" ჩარჩოში. გარს მუდამ უამრავი მომსვლელ-წამსვლელი ეხვია, არც ფარისეველნი დაჰკლებია, მაგრამ ყოველთვის უცდომელი ალღოთი შეიგრძნობდა ნაღდ ქართულ სულს, ქართულ სიტყვას, ქართულ ჰანგს... თაყვანს სცემდა „ძმას ქრისტეხმიერს" ... ნადგომის მაგალ... სწორედ ამი... გომი მეგობრის... დარჩენის უსასო... [illegible] და საქ... ვილთან ერთად... რყოოს მის მიერ... დატოვებულ ძმათ... ტკივილმაც. სად... მსგავს ავთანდილ... ქაჯეთის ციხის... ამხედრებულ ტარ...

ალარაა უძვირფ... ტავა. დედასამშო... რის ღირსი მისი... დაიმსხვრა და დ... ისე, როგორც ფა... ხურებული ბრძო...

და მაინც, ის... ჩვენს შორის უ... ბინა. ამიერიდან... რდილი გადმოდგ... ნვარწვერზე და... თვის მებრძოლ... ხშირად შეეხმიან... ტყვებით: „მარად... ქართველოვ, მე ...

# საოცარი ცხოვრებ…

არიან ადამიანები, რომლებიც მთელ ცხოვრებას უფერულად ატარებენ, მაგრამ გმირულად იღუპებიან და ამით საუკუნო შარავანდედს იდგამენ. მერაბ კოსტავამ, პირიქით, მთელი ცხოვრება გმირული ცხოვრებით იცხოვრა და უაზროდ, ტრაგიკულად დაიღუპა.

ულმობელი იყო მერაბ კოსტავას სიკვდილი. ისიც დღეს. თვით მერაბ კოსტავას სულის მსგავსად აბობოქრებულ და თავისუფლებისათვის ბრძოლის აღმართზე მდგარ საქართველოს სწორედ ახლა სჭირდებოდა იგი. არა, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ღმერთი სამართლიანია, რომ ის არ გასწირავს ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოს, მაგრამ მერაბის სიკვდილმა ყველას ჩასწყვიტა გული. უპირველესად მის მშობელ დედას, უძლიერესი სულის სპეტაკ ადამიანს, ყველა ჩვენგანის დედას, ქალბატონ ოლიკოს.

ჩვენ კი, მისი მეგობრები, დაგვტოვა თავზარდაცემულები, რომელთაც ვერ გაგვიგია და დიდხანს ვერც გავიგებთ, თუ რა მისტიური აუცილებლობით იყო გამოწვეული მერაბის სიკვდილი, ვის, რას და რატომ სჭირდებოდა ეს? არა, რა თქმა უნდა, ძნელია რაიმე კანონზომიერების მოძებნა, მაგრამ ერთი კი ცხადია — მერაბ კოსტავა იყო ცოცხალი, ასე ვთქვათ, ლიტერატურიდან ამოსული გმირი, რაც იშვიათი შემთხვევაა კაცობრიობის ისტორიაში. გმირი, რომელიც ჩვენს გვერდით დადიოდა და ქუჩაში ბევრი ვერც კი ამჩნევდა მას. ეს იყო სწორედ დარღვევა კანონზომიერებისა. დღეს გმირი სახელოვან მამულიშვილთა სავანეში იქნება დაკრძალული და ცხოვრებაც თავის დინებით განაგრძობს გზას. აღარ იქნება ჩვენს შორის მხოლოდ „მწუხარე სახის რაინდი" მერაბ კოსტავა.

მერაბი არ იყო მხოლოდ „ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი". იგი ჩვენი ერის სინდისი იყო. მაგრამ ნურავინ იფიქრებს, რომ მან ერის სინდისიც თან გაიყოლა. დღეს, როდესაც მთელი ქართველი ერი დასტირის მერაბს და მოითხოვს მის დაკრძალვას მამადავითზე, იმას ნიშნავს, რომ ეს სინდისი მთელს ერში არის განხორციელებული.

საოცარი იყო მერაბ კოსტავას ცხოვრება. ტრაგიზმი პირად ცხოვრებაში თან ახლდა მუდამ. ახლახან, 26 მაისს, რაც თავისთავად სიმბოლურია, უნდა გვეზეიმა მისი დაბადებიდან 50 წელი, მაგრამ 9 აპრილის ტრაგედიის გლოვამ არ მოგვცა ამის საშუალება.

ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე იყო, როდესაც ფეხი შედგა ერის თავისუფლებისათვის ბრძოლისა და თავგანწირვის გოლგოთის გზაზე. სულ რაღაც 17 წლის იყო, როდესაც პირველად შეიგრძნო ციხის საკნის შმორიანი სუნი, თუმცა ამან ვერ გატეხა მისი და მისი მეგობრების მეამბოხე სული. დღეს ჩვენ ველარ გაგვაკვირვებს თავისუფლებისათვის მებრძოლ მამულიშვილთა სიმრავლე, მაგრამ სამოცდაათიანი წლების ბრეჟნევისეულ ე. წ. უძრაობის წლებში, როდესაც ყველა თავის ნაჭუჭში იყო ჩაკეტილი, და მხოლოდ ამქვეყნიურ კეთილდღეობაზე ზრუნავდა, მერაბ კოსტავა რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად ერის ტკივილებით ცხოვრობდა. ასე შეიქმნა ჰელსინკის ჯგუფი საქართველოში და როდესაც ხელისუფლებამ დაიწყო ასეთი ჯგუფების დაპატიმრება, ერთ-ერთი პირველთაგანი საბჭოთა იმპერიაში სწორედ მერაბ კოსტავა (ზვიად გამსახურდიასთან ერთად) იყო.

იდგა 1977 წლის აპრილი.

ამის შემდეგ 10 წელი ციხეებისა და საკონცენტრაციო ბანაკებისა. 10 წელი მერაბ კოსტავას ვაჟკაცობისა და მამულიშვილო-ბის განცდისა, ... უდიდესი ღირს... შემართებით ჩაა... ებული მამულიშ... რის შარავანდედ... და. მაგრამ...

აღარ. დახვდ... ვარელი შვილ... ლის ცხოვრება... რი ტრაგიზმით... როგორც მამის ... ვე უცნაურად, ... ამთავრა ხანმოკლ...

ვერც ამან ... კოსტავას უტ... ღრმა რწმენი... დავმა სულმა ს... ველში, იმქვეყ... ლოში გადაინაც... განმსჭვალული ... ვნი საკუთარ პი...

ჩვენც ვინუგე... მერაბ კოსტავას ... მაც იმქვეყნიურ ... გადაინაცვლა, ს... ცვა-კურთხევას ... საყვარელ ერს.

ავთ...

სსფ-ს გამგ... მარის მოად... ლოს ჰელსინ... ვრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ღირს მამა დავითს

ანტიოქიის უდაბნოში აღძრული ხმები
ვინ შეუწყვილა კავკასიის ველურ ექოებს,
ლვარძლგამოცლილი თავთუხები ვინ შეჰკრა ძნებად
და ხამსხვერპლოზე აუტანა ზოდიაქოებს,
დემონნი ბილწი ბომონების ვინ ახაპყარა,
მაგიურ სიტყვით ვინ გაძაგრა სიქველის მტერი,
გარეჯის ურწყულ ხრიოკებში ვინ ახაყდარა
უშქარი ლავრა უდაბნოსი და მონასტერი.
ვინ აგალობა ხალვთო ჰანგი უცნაურ ხმაზე
უკვდავ ვარსკვლავთა ელვარების განუქარვებლად,
მთაწმინდის თეთრი ბილილების ამონაყარზე
ვინ დაიფერფლა და თბილისის იქცა მფარველად.
ჰოი, თბილისო, შენს დიდებად მთაწმინდა კმარა,
იმისი მადლით ხამს ხატანა შენგან განვიდეს,
მთაწმინდის ზეცა თავადაა ლოცვა ანკარა,
ლოცვა წარმოთქმული წმიდა ბაგით მამა-დავითის.
წმიდა ალაგო, შენს კვარცხლბეკზე ამაღლებულმა
თავად ღმერთკაცმა ტანთ აგახხა რწმენის აბჯარი,
დაიგიზგიზა შენში ცეცხლმა მინავლებულმა,
ოდეს ზეგარდმო გადაგსახა მძლეველი ჯვარი.
მთაო პოხილო, იმ ზეკაცურ ნატერფალებით,
ნაოცნებარით თუ ცრემლებით ხარ დალარული,
მზერაუქცეველ აღმართხედვით ნამწვერვალები
ჩუმი ფიქრების საკმეველით შემოჯარული,
მთაო მეტყველო, რაკი მისი ფიქრი გაცრიდა,
სწორედ ამადაც, სწორედ ამადაც გეწოდა წმინდა.
იდუმალია იმ მაგიის საშინელება,
დაბრკოლებათა უტეხელის ნებით მძლეველი,
უმანკოების ღვთაებრივი გამოელვება
და მადლი ცისა, მოუწყველი დაულეველი.
გარდუვალია წამი იგი იდუმალების,
გულდაწერტილი ოდეს ღმერთთან რჩები ეული,
მხოლოდ ერთისთვის გახელილი გრჩება თვალები
და მოგაქვს მსხვერპლი უანგარო, სისხლხორცეული.
ღრუბლების რუხი საბურველი დაადგა თბილისს
და მცდელობანი ტაროსისა გახდა ამაო,
ოდეს თვალებში ცრემლის ნაცვლად ჩადგება თრთვილი,
ისევ და ისევ შენ მოგიხმობთ წმიდა მამაო.
ო, რა ძნელია, რა მძიმეა ჟამი ლოდინის,
მო, მოგვეახლე, გვანუგეშე მცირეოდენი.
ფარვანასავით გიტაცებდა არსთა ზეობა
კაცს ანგელოსურს და ბიბლიური ღმერთის სახიანს,
ვითა პრომეთემ გამოსტაცე ზეცას ზნეობა
და ჩვენს მიწაზე გადმონერგე ძლევის მაგიად.
ვნებების რაში რკინის სალტით დაასადავე
და ნება ღვთისა უქცეველი მეაბჯრედ იხმე
გამჭოლავ მზერას ალაპყრობდი უძრავ ვარსკვლავეთს
და ხაოცრებას დაეძებდი ვარსკვლავებს მიღმა.
შენ მეფე-მოგვის სათნოება იერად გადევს
და აღთქმის ნიშნად გადმოგნათის თავზე ირისი,
შენივე ხორცი სისხლთან ერთად ბარძიმში ჩასდე
და უზიარე მწყურვალ შვილთა იბერიისა.
მოყვასისათვის განილიე გულგანემსილი,
ოდეს სამწყსოსთვის სული დახდე კეთილ მწყემსივით.
რომ სასოება არ გქონოდა ჯვარზე ვნებულის
ბუბაქარების გოროზობას ვით გაუძლებდი,
შენ მამის წიაღს დაუბრუნე შენანებული
შვილი ნაკლული, შვილი ურჩი, შვილი უძღები.
ვით ჰიბერნიას კოლუმბანი, უდრეკი ბერი,
შენ იბერიის წმიდა მიწას გამოესარჩლე,
ჰგავხარ შექსპირის ქარიშხალის მხცოვან პროსპეროს,
ქარიშხლის პირმშოს და ბუნების ძალთა მესაჭეს.
ასიზელისკენ ძმობის ხიდი ღვთით გაგიდვია,
და მთა ულუმპოს ბინადართაც გარდაამეტე,
შენ თავად იყავ ფშაველ ვაჟას ბრძენი მინდია,
იდუმალთწვდომით მინდიაზე იყავ უმეტეს.
მამაო, გულო ტრედისაო, გრძნობავ მარტივო,
ქვეგამხედვართა და მზაკვართა ფარიე მთხრებელო,
ჩვილი ნუკრების ძუძუმტეო, სულო მარტვილო,
წიალთა სიბრძნის აიაზმად მასხურებელო;
გარესჯად იდექ, ღამეების თეთრად მთეველი,
ნათლისა ხვეტი, წყვდიადისგან დაუძლეველი
ანაზდეული ჩამოგესხმა რეკვა ციდანა,
იესოს კვალზე რომ ედემში ალვად იზარდე,
მხოლოდ წარსულში? მყოფადშიაც გცნობენ წმინდანად,
წმინდად დაშთები უკუნისი უკუნისამდე!
მოვედ ჩვენს შორის კათაკმეველთ მადლის მყოფელო.
ლავრების თალქვეშ აღვლენილო საგალობელო;
ღირსო მამაო, თუ წმინდანი არა ხარ მართლაც,
რტო ფებუსისა, პოეზიის ისრით ჰდეული
რაღად ისწრაფვის მაღალ ნიჭის შენგან განათვლას,
შენს კვალს რად შესტრფის მელექსეთა დასი რჩეული?
და თუ მგოსნების განათვლაში არ ხარ პირველი,
პარნასის თხემზე აზიდული ტინის კედელად,
მაშ გულზე ნაოჭდაჭდეული მთა საკვირველი
რატომ აქციეს პოეტების საგოდებელად...
სად მგოსანთაგან ვინ არ იგრძნობ მადლი ციური,
რალაც ძვირფასი, იდუმალი და მისტიური,
თუ პოეზიის შენ არა ხარ წმიდა ემბაზი,
ლექსის კამარა მადლით თუ არ დაიკისე,
მარქვი ძვირფასო, შენს უბრალო გახსენებაზე
ტანში რაღა სცრის ყველა ქართველს, ყველა თბილისელს?
მთას შესევია ბილიკები კენტი და ლუწი,
ამ ალმაფრენის სპირალებით ვის არ უვლია,
ან რძიან გზებით დავაბიჯებთ და კი არ ვუწყით,
რომ ეს ბილიკი შენის ტერფით გაკვალულია.
ფერს შეებარა მტრედისფერი ცისკრის სინორჩე,
სიზერე დღისა, დაისების გაფერმკრთალება,
მთაწმინდის მკერდზე გაზაფხულის ნედლი სიმორჩე
და შემოდგომის პანაშვიდთა ფერისცვალება.
ოდითგან ფუნჯის დიდოსტატთაც მაჯა უკურთხე,
ფერთა ზეობის საიდუმლო იცან რომელმან,
ამადაც ფრესკის მჭვირვალების ხარ სიმსუბუქე,
რათა ექსტაზში ნეტარება ჰპოვოს ყოველმან.
მამაო, გვარქვი, უშენობად ნეტავი ვინ ხძლოს,
მამაო, ჩვენდა გადახსენი უცხო სამყარო,
მამაო, წყარო ცხოვრებისა ვისხუროთ ვინძლო,
მამაო, ვინძლო დამჭკნარ კვერთხზე ყლორტი ვახაროთ.
მამაო, ღირსო ქადაგების ცეცხლო და რვალო,
მამაო, მაღალ სასწაულთა ღირსო ქმედებავ,
მამაო, ზეცით მომზირალო უშრეტო თვალო,
მამაო, ქველთა ხელოვანთა შემოქმედებავ,
მამაო, შვილთა უპოვართა შესამოსელო,
ცხოვრების გზაზე შეჭირვებულთ მწეო მართალო,
მამაო, უბრად გამოუთქვამ არსის მმოსავო.
მამაო, სიწრფით ღვთის სასწორო და სამართალო.
ვერ დაგვიხსნიდა ავგაროზი, ვერცა თილისმა,
დუშმანისაგან ვერაფერი დაგვიფარავდა,
თუ გორგასალმა ალაშენა ფუძე თბილისის,
შენის კურთხევით ჰყავ უკვდავი აწ და მარადის.
შენ ამწყალობე მის სანაზებს მკაცრი იერი
და ქართულ მიწას ააცილე უსაზურობა,
სულის საჭრეთლით ჩვენი ერი ჰყავ სახიერი,
რის საიდუმლო აღასრულე ღმერთმსახურება.
ღირსო მამაო, ხამს აღლესო სიტყვის მახვილი
და ახალნერგებს სხვა ახალი მისცე საზრდელი,
საუკუნეთა გოლიათურ გადაძახილში
ხმას მოგაწვდენენ შენი შთო და ზედაზნელი.
ანტიოქიის უდაბნოში აღძრული ხმები
თქვენ შეუწყვილეთ კავკასიის ველურ ექოებს,
ოქროცურვილი თავთუხები შეჰკონეთ ძნებად
და ხამსხვერპლოზე აუტანეთ ზოდიაქოებს.

# მერაბ კოსტავა



## ლექსები

დამაშვრალები მოადექით თბილისის კარებს,
ქალწულებივით მოგეგებნენ ზვრებში ბწკარები,
ცრემლი სდიოდათ კაბადონის უხილავ ბზარებს
და სამრეკლოთა თავისთავად სჭექდნენ ზარები.
სასულიეროს არ ელტვოდით მაღალ წოდებას,
არ დაეძებდით არც დიდებას, არცა სახელს,
სხვა მისწრაფება, სხვა მიზანი მოგიწოდებდათ
დაუსაბამო, უწვდომელი და უსახელო...
სიმდაბლე თავად დიდების გზით მიემართება,
შემწყნარებელი მყის მოიმკის პირუთვნელ მხაჯულს,
თავის მოდრეკით დამდაბლების ეს შემართება,
არ იავარჰყოფს, არ დალაშქრავს ან რომელ ქაჯეთს,
როგორც ყინვართა ჯიქანიდან ჩვილი ბინური,
ალძარით ტალღა სინანულის ქართლისა წიაღ,
უშრეტი ცეცხლი მოაზღვავეთ ქერუბიმული,
ცეცხლი, რომლითაც მოაპობდით უსიერ წყვდიადს.
ცეცხლი სწვავს ბიწის წარსაწყმედელ წარმავალობას,
მაგრამ ვინ ჰპოვოს ქვეყნად ცეცხლი ბიწთან ნაზავი,
იგი წმინდაა და მის წმინდა შეუვალობით
არ დაიდების, არ ეგების ბოროტთან ზავი.
თქვენ მცხუნვარება გვაგრძნობინეთ უდაბნოს ლომის
და ძლევის ცაზე შთაბრიალდით როგორც არწივი,
დაუცხრომელი სპარაზენნი სულიერ ომის
ჩვენი სინდისის და [illegible]ეობის აკვანს არწევდით.
არ დაიშრიტოს ცეცხლი თქვენგან ანატაცები,
ცეცხლი მგზნებარე, ჩვენს ძარღვებში სისხლად ნადენი,
რადგან ზნეობის რაინდები და ღმერთკაცები
ჩვენი კაცობის ბასტიონად აღემართენით.
არ იმცრობიან სასწაულნი საარაკონი,
ჟამთა დინებას მხოლოდ ტვირთი სუბუქი მიაქვს,
საქმეთა თქვენთა ახაუარს ბილწი დრაკონი
და ბოროტება უმსახურეს სიკეთის წიაღს.
მოხვეული დასი ათცამეტთა მწირთა ასურთა,
რომ შორეული მყინვარწვერის ელავდა ქიმი,
უკვდავებასთან დადებული აღთქმა აღსრულდა
და თბილისს ცაზე აღებეჭდა ღვთისმშობლის ღიმი.

21 იანვარი, 1978 წ.

### ძმას ქრისტესმიერს
### (ზვიად გამსახურდიას)

რომ მიაკითხავ წმიდა ალაგებს,
თითქოს იერი ეცვლებათ ტაძრებს,
წმიდა მამათა ძვალშესალაგებს
მღვდელმთავართა და მეფეთა საძვლეს.
გეკითხებიან მოსულხარ სადით,
ხატება შენი ველარ გვიცვნია,
წარსულის სუნთქვა ესდენ სიცხადით
საუკუნეა არ განგვიცდია.
ხარ მწირი თამარ დედოფალისა,
ხალვთო სინედლის გულში აღმძვრელი,
თუ ნახევარძმა პარსიფალისა,
დიდგორს მოსული ვინმე ტაძრელი.
სამსხვერპლო სისხლით აღვსილი წმიდა
გრაალის მცველი ღვთისგან ცხებული,
თუ საიდუმლოდ ათონის მთიდან
თორნიკესავით დაბრუნებული.
ვინც განგვიახლა ნათლობის მადლი,
კურთხევის ძალა შორს გამიზნული,
რომ მოგვეძალა დიდვაჭრის ადლით
დუშმანი ჩვენში შემოხიზნული.
ოდეს ტაძართა შედრკა მწირველი
და მიეფარა ღრუბლებს უფალი,
შენ აღემართე ვითა პირველი
დაშრეტილ რწმენის ჭირისუფალი.
თვით ზეციერმა შეგარტყა ძალი,
გიპყრა მახვილი რვალთა მლეწავი
და აგიტაცა, როგორც ბოძალი,
დუშმანის ძვლებში დასახვეწარი.
გჩვეოდა მტერთან არ დარიდება,
შეწყვილებულო სიმტკიცით კლდესთან
და ეძიებდი ჭეშმარიტებას,
ვითა ტარიელ დაკარგულ ნესტანს.
და წინაპართა ტანჯვით ვნებულმან
ერშიც ზრახვანი აღძარ ვნებისა,
რომ განაახლე მინავლებული
ხმა ეროვნული თვითშეგნებისა.
ოსტატის სიბრძნით გამოარჩიე
აზრთა განწყობას უცვალე ფერი,
ხელწერა შენი გულს დაამჩნიე,
ახალ ხარისხზე ასწიე ერი.
შენგან ნატყორცნი გავარდა სიტყვა,
ვითარცა მეხი ცათა მკვეთელი,
ჯიუტი თმენის ზღუდე მისეტყვა
ზღვა საგუბარის დასცა კედელი.
შემოიმტკიცე ფიცვერცხლით ძმანი,
ცეცხლს რომ უნთებდნენ გულში ასულებს,
შლეგებს მოვგავდით მოყმენი ცხრანი,
ვეფხვთა სარკენად ველად გასულებს.
არ დაგვითრგუნავს სხვათა უფლება,
ყველამ გაიგოს, ყველამ უწყოდეს,
რადგან ჩვენც შევტრფით თავისუფლებას,
ჩვენადვე თავი ხამს გვეუფლოდეს.
მაგრამ ნესტანი, იგი ნესტანი
ისევ ქაჯთა ჰყავთ გამომწყვდეული,
კვლავაც ზვავობენ მტერთა დასტანი,
უტიფრობს შხამი მათგან ნთხეული,
ცნობამიხდილი წყევლი ცრუ სოფელს,
რომ გულისსწორის სახელს აბოდებ,
ვიცი, ო, ვიცი, იმის ხელმყოფელს
უშრეტი ცეცხლით დაანაფოტებ.
რომ ამოშრება წყევლის სათავე
ქაჯეთს მიხტომა ნახონ ჯიქური,
მაშინ იხილონ დუშმანის თავი
უწმინდურ სისხლით გადათხიფული.
მისთვისაც გაგთქვამ ზეცა და მყარი
და ქარიშხალი ზღვებზე მქუხარი,
კვლავ გაიელვებ სიმართლის ფარით,
რწმენის სამკლავით და საფუძვლით,
გადაიპრები გზნებით მყოფადში,
დაემკვიდრები ხალხში მითივით,
ზეალმართული ჩვენს ეპოქაში,
მიქელანჯელოს კუშტ დავითივით.
დაუცხრომელო სულიერ ცდაში,
დაუსაბამო სიტყვის მხმობელო
უკიდეგანო ასტრალურ ზღვაში
დემონთა ხროვის დამამხობელო.
ხომ ხედავ, როგორ გართულდა ომი,
ვაჰ, თუ ძალეში შემომელია,
თუმცა მარადში ვარ თანამდგომი,
ავთანდილობა ერთობ ძნელია.
ბოროტებისთვის მუქაფის მგებელს
საქმენი ქველნი არ დამიგმია,
მაგრამ ხვებედის საწყისთა მძებნელს
ერთი ანბავი ვერ გამიგვია:
სჩვებზე უმეტეს თუ გაიხარჯე
რომ ჩამოგეჭრა ხმა ედემისა,
მოყვასისაგან რად განისაჯე
ღირსო უკვდავთა დიადემისა,
ალბათ გამოცდა ენება უფალს,
რომ გიმზადებდა ხვედრს არასაცდენს,
რადგან განგებას რომელი უყვარს,
მასვე მოუვლენს სასტიკ განსაცდელს:
რას დაგაკლებდა ბედი ტიალი,
ეკალ-ბარდებში სიკეთის მთესველს,
ჭორის ღვართქაფმა გადაგიარა
და როს ძლგივსეს ძმარით ფიალა,
არ აიცდინე სასმელი ესე.
რადგან იცოდი როგორ მავნებლობს,
როცა მაცდური გვიდგას საჭესთან,
რომ სიამაყე, აქ რომ ბრძანებლობს,
მათხოვარია იმ სოფლის ბჭესთან,
რომ წაუხდება მცდელობა უმალ,
გატიალდება როგორც საპყარი,
რომ აღმოჩნდება, რომ ამგვარ სტუმარს
ზეცაში არ აქვს თავშესაფარი,
რომ ვერ იხილავს სანუკვარ შედეგს
ჭეშმარიტებას ვინც არ იმშვილდებს,
შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ
ვინაც ვერ ჰპოვა სულის სიმშვიდე,
ძმის ალსარება რომელმაც გასთქვა,
ვინც ვერ დაიცხრო ღელვა გულისა,
ზიარებამდე ვინაც ვერ წარსთქვა
საგალობელი სინანულისა.

12 აგვისტო, 1978 წ.

# სახალხო ფრონტის

# ღია წერილი

## სკკპ ცენტრალურ კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრკ უმაღლე საბჭოს თავმჯდომარ მ. ს. გორბაჩო

ერთაშორის ურთიერთობათა საკითხებისა მიძღვნილ სკკპ ცენტრალური კომიტე პლე

**პატივცემულო** გენერალურო მდივანო და თავმჯდომარევ! საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობა თვლის, რომ სკკპ პლატფორმის პროექტი „პარტიის ეროვნული პოლიტიკა თანამედროვე პირობებში" ეწინააღმდეგება სსრკ-ში მცხოვრები ხალხების ეროვნული ჰარმონიის ინტერესებს და გთხოვთ, როგორც თქვენ, ასევე პლენუმს, თავი შეიკავოთ მისი, როგორც მომავალი პოლიტიკის ბაზის, განხილვისაგან.

ჩვენი მოტივები შემდეგში მდგომარეობს:

პლატფორმა აღიარებს ისეთ რეალობებს, რომლებსაც საბჭოთა ოფიციალური იდეოლოგია წინათ უარყოფდა, სახელდობრ, ერთი ერის მიერ მეორე ერის შთანთქმის (არამონათესავე ერთა „ინტეგრაციის") პროცესებს, მაგრამ იმავე დროს ხელისუფლებას აკისრებს აქტიურ ჩარევას ამ პროცესებში, რაღაცა მდუმარედ ნაგულისხმევი ან ექსპლიციტურად გამოთქმული ნორმებიდან გამომდინარე, ანუ რაღაცა წარმოდგენებიდან იმის შესახებ, თუ რა არის სასურველი და რისკენ უნდა მივისწრაფოდეთ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: პლატფორმა, ერთის მხრივ, გზას უხსნის ისეთ ფაქტთა და გარემოებათა დაკანონებას, რომელთაც ადამიანის ფიქრი და გრძნობა ყოველთვის უჯანყდებოდა და უჯანყდება და რომელთა წინააღმდეგ პროტესტიც, სხვათა შორის, რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი ძირითადი სტიმული აღმოჩნდა რუსეთის ძველ იმპერიაში, მეორე მხრივ კი იგი ერთგული რჩება ვულგარიზებული მარქსისტული ფილოსოფიის თეზისისა, რომელიც არ სცნობს ჯერ-არსობის, როგორც ყოფიერებისაგან განსხვავებულის, კატეგორიას, და მოითხოვს ზემოხსენებული ჰუმანიტარულად მიუღებელი პროცესებისათვის ხელშეწყობას ყოვლისშემძლე სახელმწიფო აპარატის გამოყენებით მარტოოდენ იმის საფუძველზე, რომ ეს პროცესები არსებობენ.

ამავე დროს, აღიარებს რა ბუნებრივ (ტექსტის შემდგენელთა აზრით) სოციალურ პროცესებს ერთ სფეროში (ერთა ასიმილაციის პროცესებს) და აკანონებს რა მათ მათი ამ ბუნებრიობის საფუძველზე, პლატფორმა მხედველობიდან უშვებს არანაკლებ ბუნებრივ (ე. ი. თანამედროვე ფაქტიურად არსებულ) პროცესების მთელ დიდ რიგს, კერძოდ, ადამიანის მუდმივ სწრაფვას, რომ განახორციელოს სოციალურ ცხოვრებაში თავისი ფუნდამენტური ადამიანური თვისებები: თავისუფლება, მორალურობა, თავის ინტერესთა სფეროს პრინციპული უსაზღვრობა და ა. შ. ის, რომ კაცობრიობა, რომელიც ამჟამად მეორე ინდუსტრიულ რევოლუციას განიცდის, უკვე ფაქტიურად დაადგა განთავისუფლებისა და ამ ადამიანური თვისებების სოციალური რეალიზაციის გზას, ტექსტის ავტორებისათვის უცნობია. მათ მხედველობიდან რჩებათ, რომ ადამიანის თანამედროვე თავისუფლებამ განაპირობა მისი მოთხოვნილება და მისი უფლება, რომ სოციალური რეალიზაცია მიანიჭოს არა მხოლოდ თავის ინდივიდუალურ ბუნებით „მე"-ს, არამედ თავის კოლექტიურ ბუნებით თანდაყოლილ „მე"-საც ანუ თავის ეროვნულ „მე"-საც კაცობრიობის, როგორც ასეთის, მთლიან სისტემაში — განახორციელოს თავისი უფლება ეროვნულ სახელმწიფოებრიობაზე. ამავე დროს მან განაპირობა ადამიანის უფლება მისი სოციალური მეხსიერების შეუზღუდველობაზე დროში, ანუ მისი უფლება და მოვალეობა, რომ იყოს ერთ-ერთი შეგნებული რგოლი თავისი ხალხის ისტორიაში, უდანაკარგოდ გადასცეს მომავალ თაობებს ის, რასაც სამართლიანად ფლობდნენ მისი წინაპრები. ფაქტიურად ყოველივე ამის იგნორირებით, პროექტის ტექსტის შემდგენლები საბჭოთა კავშირს უბიძგებენ **იმპერიული** პოლიტიკის ასკეცი გაღრმავებისა და გამწვავებისაკენ (აპარატის უპრეცედენტო ძალების წყალობით) და ამით — ისტორიული კატასტროფისაკენ. პროექტი მიზნად ისახავს უზრუნველყოს „ადამიანების თანასწორობის ორგანული შერწყმა მათ ეროვნებისაგან დამოუკიდებლად". მაგრამ, ჯერ ერთი, ის აწესებს არა ყველა ხალხის თანასწორობას, არამედ ყველის, გარდა რუსი ხალხისა, რამდენადაც სახელმწიფოებრიობას, ამ სიტყვის მეტნაკლებად სრული აზრით, იგი მხოლოდ რუსებს უტოვებს, ხოლო ყველა დანარჩენებს ათანაბრებს მათს უუფლებობაში. მეორე, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალი ხალხების დღევანდელ კულტურულ და პოლიტიკურ შესაძლებლობათა უდიდესი განსხვავებულობის იგნორირებით პროექტი გვთავაზობს **უტოპიას**, რომელიც არსებითად განსხვავდება ტრადიციული უტოპიებისაგან იმით, რომ მისი მოტივები მორალური კი არ არის, არამედ, პირიქით, ამორალურია, რამდენადაც ისინი მიმართული არიან მრავალეროვნული სახელმწიფოს **უნიტარულობის** ამაღლებისაკენ. მესამეც (რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია), პროექტი უგულებელყოფს სსრკ ხალხების განსხვავებულობას მათი პოლიტიკური სტატუსის მხრივ და მათი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ხარისხის მხრივ სსრკ-ში შესვლის მომენტში, რითაც ახდენს როგორც მათი **ისტორიის** ფალსიფიცირებას, ასევე სამოკავშირეო ხელშეკრულების თვით არსს.

თავს ნებას მივცემთ, გავაანალიზოთ პროექტი განყოფილებების მიხედვით.

### I. „როგორი მემკვიდრეობა გვერგო"

1. მე-3 აბზაცი. არც ერთ საბჭოთა რესპუბლიკას, ისევე როგორც არც ერთ სხვა სახელმწიფოს არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს ისეთი საერთო მიზნები, რომლებიც გაამართლებდნენ ან მოტივად გამოადგებოდნენ მათ მიერ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვას, მით უფრო ამ უკანასკნელის დაკარგვას თვით კონფედერაციის სუბიექტად ყოფნის უფლებაზეც კი ხელის აღებით.

2. მე-5 აბზაცი. „ინტეგრაციული პროცესები", რომლის შესახებაც არის საუბარი, შეადგენს მხოლოდ იმის ცდას, რომ მოხდეს ეროვნული შერწყმა და არარუსების ასიმილაცია რუსების მიერ. **არავითარი სხვა შინაარსი ამ პროცესებისა დღემდე არავის მიერ კონსტატირებული არ არის.** „ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი" — შინაარსით აბსურდული ცნებაა და ფუნქციით — დემაგოგიური. აბსურდია იმიტომ, რომ ცნებაში „ხალხი" შედის, როგორც ერთ-ერთი მისი ნიშანი, ბუნებითი ერთობა, რომელიც სსრკ-ში შემავალ ხალხებს, ბუნებრივია, არა აქვთ. დემაგოგიისათვის კი იგი გამოიყენება იმ მხრივ, რომ ორი სხვადასხვა აზრით იხმარება. ერთ შემთხვევაში იგი აღნიშნავს სსრკ მოსახლეობის მთელ მასას კლასებად და ფენებად დაყოფის გარეშე. მეორე შემთხვევაში იგი ენაცვლება **რეალური** ხალხების (ერების) დასახელებას. სწორედ ამ უკანასკნელი აზრით იხმარება ის სსრკ კონსტიტუციის ყბადაღებულ მუხლში, სადაც ლაპარაკია რეალური ხალხისადმი კუთვნილ მიწაზე, ჰაერსა და წყალზე ამ ფსევდოხალხის საკუთრების შესახებ.

3. მე-7 აბზაცი. ის, რომ „შეიცვალა ქვეყნის ეროვნული რუკა" და „არ არის ტერიტორია, სადაც ერთად არ ცხოვრობდეს და შრომობდეს სხვადასხვა ეროვნების ხალხი", პროექტის ტექსტში კონსტატირდება ყოველგვარი ტრაგიკული ტონალობის გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ მცირე ერებისთვის ამ ცვლილებებს მოჰყვება **ეროვნული იდენტურობის დაკარგვა**, ანუ მათი გადარეცხვა პირისაგან მიწისა (საკმარისია ლატვიის მაგალითი, სადაც ორმოცი წლის მანძილზე ლატვიელები უმცირესობაში დარჩნენ, ანდა ყაზახეთის მაგალითი). უფრო მეტიც, პროექტი ამ ტრაგიკულ სიტუაციას „ახალ რეალობათა" (აბზაცი 8) რიცხვს მიაკუთვნებს, რომლებიც „ნაციონალურ-სახელმწიფოებრივი წყობილების გახევებული ფორმების" მსხვრევის პროცესში ორიენტირად უნდა იქცნენ. ამ „გახევებულ ფორმებში", ეჭვს გარეშეა, იგულისხმება ის ფორმები, რომელთა გარანტიასაც მოკავშირე რესპუბლიკებს სამოკავშირეო ხელშეკრულება აძლევს.

4. მე-9 აბზაცი. მოთხოვნით — „ყველაფრისადმი წინააღმდეგობა, რაც არ შეესაბამება სოციალისტურ იდეალებსა და პრინციპებს" — პროექტი ამ უკანასკნელთ ღირებულებრივ პრიორიტეტს ანიჭებს ეროვნულ ინტერესებთან შედარებით, რაც, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ყოვლად უსაფუძვლოა,

5. მე-11 აბზაცი. მცდარია იმის მტკიცება, რომ „ადმინისტრაციულ-მბრძანებლურმა სისტემამ" განაპირობა „ტენდენცია უნიტარიზმისაკენ". პირიქით, უნიტარიზმის ინტერესებმა, ე. ი. იმპერიის ინტერესებმა განაპირობა დიქტატურის არსი და ფორმები, როგორც მიზნის მიღწევის აუცილებელი საშუალებები.

6. მე-15 აბზაცი. ფალსიფიკაციას წარმოადგენს დასავლეთის სამყაროში „ერებს შორის ინტეგრაციული კავშირის გაღრმავების" დამოწმება სსრკ-ში ასიმილატორული ღონისძიებების გასამართლებლად. დასავლეთში ინტეგრაცია ხდება ა) სუვერენულ, თავისუფალ ერებს შორის, ბ) საერთო დაინტერესების გარკვეულ სფეროში, გ) პროცესის სრული შეუქცევადობის პირობით.

7. მე-16 აბზაცი. უსაფუძვლოა იმის მცდელობა, რომ „თეორიული მიზანდასახულობანი ერების დაახლოების ფორსირებაზე", რომლებიც ათწლეულების მანძილზე მეფობდა, დაყვანილ იქნან მტკიცებაზე, რომ „ეროვნული საკითხი გადაწყვეტილია", ეს მიზანდასახულობანი რჩება და კვლავაც დარჩება ძალაში მანამ, სანამ ექსპლიციტურად არ იქნება აღიარებული **თავისთავადი ღირებულება ეროვნული იდენტურობის**, როგორც ასეთისა, და **მოცემულ ტერიტორიაზე ეროვნული სუვერენიტეტისა.** აგრეთვე ამ ღირებულებათა დაუყვანლობა სხვა რომელიმეზე.

8. მე-17 აბზაცი. მიგრაციის პროცესები დარტყმას აყენებენ არა უბრალოდ „ეროვნულ თვითმყოფადობას", არამედ ხალხის მიერ სამშობლოს, როგორც **მისი ტერიტორიის** ქონასაც. იგივე ითქმის მე-19 აბზაცზეც. უბედურებაა არა „გულგრილობა ეროვნული თავისთავადობისადმი", არამედ კურსი ხალხისათვის მისი სამშობლოს წართმევაზე ამ უკანასკნელში უცხო ტომების დასახლების გზით.

9. 24-29 აბზაცები. ამ აბზაცებში წარმოდგენილი გეგმები საკმაოდ ბუნდოვანია. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ სკკპ ცკ პლენუმი უფლებამოსილი არ არის აზრი გამოთქვას **ფედერაციის** მომავალზე და მის წყობაზე, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების წყობაზე, რომლებიც სამოკავშირეო ხელშეკრულების სუბიექტები არიან, ამ უკანასკნელთა და მათ მთავრობათა დაუკითხავად. უფრო მეტიც, გადაწყვეტილებები ფედერაციის მომავლის შესახებ შეიძლება მიღებულ იქნას მხოლოდ **ხალხის ნებასურვილის** გამოვლენის (რეფერენდუმის) მეთოდით, რამდენადაც ამ რესპუბლიკების მთავრობანი ფორმირებულნი არიან დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპის მიხედვით აგებული პარტიის (სკპ) წევრებისაგან, რომელშიც (ამ პარტიაში) წევრთა უმეტესობა მოცემული ხალხის შვილი არ არის და რომელსაც (ამ პარტიას) ცენტრი მოცემული რესპუბლიკის გარეთ აქვს.

10. 33-ე აბზაცი. იმ ფორმულირების მიღმა, რომელიც ეხება მონაწილეობის უფლებას „საერთო გადაწყვეტილებების მიღებაში", იჩრდილება მოკავშირე რესპუბლიკების პირველი და ძირითადი უფლება — **სსრკ შემადგენლობიდან გასვლის უფლება.** პლატფორმა, რომელიც არ იმეორებს და არ ამტკიცებს ამ უფლებას სავსებით ექსპლიციტურად, არ შეიძლება მიღებულ იქნას ხალხის მიერ.

11. 34-ე აბზაცი. ლაპარაკობს რა „ფედერაციის განახლებაზე" ანუ „მის გამდიდრებაზე რეალური პოლიტიკური და ეკონომიკური შინაარსით" (რითაც აღიარებულია დღეს ასეთი რეალური შინაარსის არარსებობა), პროექტი იბრძვის **ხელშეკრულების ცვლილებისათვის** (რაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დაუშვებელია მოკავშირე რესპუბლიკებში რეფერენდუმის გარეშე).

12. 37-ე აბზაცი წინააღმდეგობრივია, რადგან თუ კავშირის ძალა არას არა მოკავშირე რესპუბლიკების ძალთა ჯამი, არამედ კავშირის განმსაზღვრელი როლის (ძალაუფლების) დონე მოკავშირე რესპუბლიკებთან მიმართებით, მაშინ ეს ფორმულა გამოხატავს რესპუბლიკების **სისუსტეს** კავშირის წინაშე. სხვა შემთხვევაში ეს ფორმულა უბრალო ტავტოლოგიაა.

13. 39-ე აბზაცი. კავშირს პრაქტიკულად მიკუთვნებული აქვს **ყველა** სახელმწიფო ფუნქცია, რის შემდეგაც აზრს კარგავს მსჯელობა „ყველა უფლებაზე, რომლებიც შეესაბამება სუვერენული სოციალისტური სახელმწიფოს სტატუსს".

14. 39-ე აბზაცი. უფლება „დასვის საკითხი" (საკავშირო ორგანოების წინაშე?) არაა გარანტია ამ საკითხის დადებითი გადაწყვეტისა რესპუბლიკის ინტერესების შესაბამისად.

15. მე-40 აბზაცს შეიძლება მივესალმებოდით, თუ ლაპარაკი იქნებოდა საკავშირო კანონებზეც.

16. 41-ე აბზაცი. კომიტეტში ყოველი ცალკეული რესპუბლიკა იქნება უმცირესობა, მაშასადამე — წაგებული. ამიტომ რესპუბლიკებს უნდა შეეძლოთ თავისი უფლებების დაცვა **დამოუკიდებლად, საკუთარი** საშუალებების გამოყენების გზით, თვით სსრკ-ს შემადგენლობიდან გამოსვლის ჩათვლით.

17. 43-ე აბზაცი. მიწა, ჰაერი და ა. შ. უნდა იყოს მოკავშირე რესპუბლიკის არა **მფლობელობაში**, არამედ **საკუთრებაში.** კავშირის უფლებები უნდა იყოს **განსაზღვრული** (შემოფარგლული) და უნდა იყოს დადგენილი ამ უფლებათა რეალიზაციის მექანიზმი (არენდული საფასურის და გამოყენების ვადის ჩათვლით).

18. 44-ე აბზაცი. „საკუთრებითი მიმართებების რეგულირება" არის სახელმწიფოს შინაგანი ფუნქცია, კონკრეტულ შემთხვევაში კი — მოკავშირე რესპუბლიკის ფუნქცია.

19. 48-ე აბზაცი. რესპუბლიკების მონაწილეობა „ახალი ტერიტორიების ათვისებაში" არ შეიძლება იყოს **სავალდებულო**, რათა ხელი არ შეეწყოს **მიგრაციას** მოსახლეობის ნაციონალური მთლიანობის საზარალოდ.

20. 49-ე აბზაცი. გაუგებარია, რატომ უნდა არსებობდეს „ეკონომიკური ინტეგრაცია" მაინცდამაინც სსრკ-ს ფარგლებში და არა საზღვარგარეთის ეკონომიკურ რეგიონებთან, რომლებთანაც ვაჭრობა მომგებიანია **რესპუბლიკისათვის.**

21. 52-ე აბზაცი. პრივილეგიები **საკუთარი ქვეყნის (რესპუბლიკის) მართვის საქმეში** აუცილებელია მოქალაქისათვის. ეს პრივილეგიები არსებობს მთელ მსოფლიოში.

22. 55-ე აბზაცი. სსრკ-ს შიგნით შეიარაღებული თავდასხმებისაგან (უკანასკნელი მოვლენები) **საკუთარი** ერის თავდაცვის აუცილებლობა რესპუბლიკათა საკუთარი ჯარების არსებობის აუცილებლობას ბადებს.

23. 58-ე, 59-ე აბზაცები. თუ სკკპ „წამყვანი ძალაა", ეს ნიშნავს, რომ რესპუბლიკების მართვა ხდება გარედან.

24. 68-ე აბზაცი. ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება შეიძლება იყოს მხოლოდ **ვადიანი** (და არა უვადო).

25. 70-ე აბზაცი. სსრკ-ს კონსტიტუცია **არ არის** რესპუბლიკებს შორის არსებული ხელშეკრულება. იგი მიღებულია **სსრკ-ს მოსახლეობის მიერ და არა რესპუბლიკების**, როგორც პარტნიორების მიერ.

### II. „ეროვნული ავტონომიის სამართლებრივი სტატუსი"

თვით ფაქტი, რომ „ავტონომიურ რესპუბლიკებში, ოლქებსა და ოკრუგებში მცხოვრებ ხალხთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების სრული მოცულობით აღ დგენა" მიზნადაა მოხსენიებულ დარღვევაა რესპუბლიკებს შორი დადებული ხელშეკრულებისა, რო მლის შედეგსაც წარმოადგენს საბ ჭოთა კავში. შედიან რა კავში რში, სუვერენული რესპუბლიკებ არ იღებენ მათ ტერიტორიებზ მცხოვრები ერებისა და ეროვნულ ჯგუფების სამართლებრივი თანაფ რდობების ამა თუ იმ წესით შე ვლის ვალდებულებას და, აქედა გამომდინარე — არც იმ ვალდე ბულებას, რომ ავტონომიურ წარ მონაქმნებში მცხოვრები ერების და ეთნიკური ჯგუფების სამართ ლებრივი სტატუსის ესა თუ ის მა ხასიათებლები უკანონოდ ჩათვა ლონ და, ამგვარად, საჭიროდ მი ჩნიონ მათი კანონიერი უფლებებ „აღდგენა". ნათელია, რომ ამა თ იმ ეთნიკური ჯგუფის ან ერი ეროვნული უფლებები, სხვა ეთნ კური ჯგუფების ან ერების (მოკა ვშირე რესპუბლიკის შემთხვევაში ბუნებრივია, პირველ რიგში ა მოკავშირე რესპუბლიკის მკვიდრ ერის) უფლებებთან (სამართლიან თან თუ უსამართლოსთან) მიმარ თებაში განისაზღვრება. ამდენად ა უფლებების ნებისმიერი გაფართო ება (სამართლიანი ან უსამართლო მხოლოდ სხვა ერის შესაბამისი უფ ლებების შეზღუდვით (სამართლ ანით თუ უსამართლოთი) შეიძლ ბა მოხდეს. ავტონომიური წარმო ნაქმნისათვის სახელის მიმნიჭებე ლი ერის ან ეთნიკური ჯგუფ ეროვნული უფლებები შეიძლებ გაფართოვდეს ან სხვა ანალოგიუ რი ჯგუფის უფლებების, ან საკა ვშირო ადმინისტრაციის უფლებე ბის, ან რესპუბლიკის უფლებებ ხარჯზე. აღნიშნულ დოკუმენტ ცხადია, ამ უფლებების გაფართო ება მოკავშირე რესპუბლიკის უფ ლებების ხარჯზეა ნაგულისხმევ დოკუმენტი აცხადებს ამ უკანას ნელის უფლებების შემცირებ კურსს — ისე, რომ თავად მოკა შირე რესპუბლიკას აზრს არ ეკ თხება. სხვა სიტყვებით რო ვთქვათ, დოკუმენტის ავტორი — სკკპ ცენტრალური კომიტეტი — ხელშეკრულების სუვერენული ს ბიექტის, მოკავშირე რესპუბლ კის, შინაურ საქმეებში ერევა. ხე ლშეკრულებით კი საკავში ორგანოების მხრიდან ასეთი ჩარ ვა არ არის გათვალისწინებულ დოკუმენტი ხელშეკრულებით პა რტნიორის ტერიტორიას მასთ შეთანხმების გარეშე განაგებს დ საკუთარი შეხედულებისამებრ ა გენს იქ სხვადასხვა ეთნოსებ უფლებებს.

აუცილებლად უნდა აღინიშნო გამონათქვამის — „აღდგენა" არაკორექტულობა. აღდგენა მხ ლოდ იმისა შეიძლება, რაც ადრ არსებობდა, მაგრამ შემდეგ შეწ ვიტა არსებობა. „ეროვნული კ ნსოლიდაცია", ანდა „სახელმწ ფოებრიობა", რომლებიც დოკუმე ნტის მიხედვით, რიგ ეთნოსებ საბჭოთა ხელისუფლების დამყარე ბის მომენტში არ ჰქონდათ, შე ძლებელია „აღდგეს". პირველი შ იძლება მხოლოდ აღიარო, როგორ ახალი ფაქტი, მეორე კი — შექმ

# ...არქივიდან

...ამ მისი შექმნა, როგორც უკ...ლინიშნა, მხოლოდ სხვა ვინმეს ...მად არსებული უფლებებისა ...უფლებამოსილების ხარჯზე შე...ება. ამ შემთხვევაში ეს სწო... მოკავშირე რესპუბლიკის უფ...ბის ხარჯზე ხდება, რამეთუ ...დება ავტონომიების მართვაში ...ვშირო ორგანოების მონაწი...ობის ხარისხი. ასე მაგალითად, ...ისი იმის შესახებ, რომ ავტო...მიურ რესპუბლიკებს „შესაძ...ლობა უნდა ჰქონდეთ წყვეტ... თავიანთ ტერიტორიებზე ად...სტრაციულ-ტერიტორიული და...ის ყველა საკითხს", იმ თეზი... ტოლიალია, რომ მოკავშირე ...სპუბლიკას ამ საკითხებიდან არც ...ის გა... ვეტის უფლება არ ...და ჰქ...ეს მოცემულ ავტო...მიური რესპუბლიკის ტერიტო...ზე. სხვა სიტყვებით რომ ...ვთ, ეს ტერიტორია ფაქტიუ... გამოდის მოკავშირე რესპუბ...ის იურისდიქციის სფეროდან. ...ის კითხვა: ბოლოს და ბოლოს, ...ლაა ეს ტერიტორია? საკითხი...ო ისეთი მიდგომა, როგორიც ...ექტში გვხვდება, მოკავშირე ...სპუბლიკებს შორის საზღვრების ...ტერიტორიული კონფლიქ... პარალელურად წარმოშობს, ...ვე კონფლიქტს მოკავშირე ...სპუბლიკებსა და ავტონომიებს ...ს, როგორც საზღვრის თაო...ზე, ისე მოცემული ტერიტორიის ...ლობის ან განმგებლობის თაო...ზე.

...თვითდაფინანსების პრინციპს, ...მელიც დოკუმენტს შემოაქვს, ...ს ასპექტებთან ერთად აუცი...ლად აქვს აქსიოლოგიური ...ღირებულებრივი) ასპექტიც. მო...ული ადმინისტრაციული ერთე...ს თვითდაფინანსება ხდება არა ...ტო იმიტომ, რომ ეს წევრები...საა მოსახერხებელი, არამედ ...ომაც, რომ მოცემული ერთე... მისი წევრებისათვის ღირე...ულებას წარმოადგენს. მათ სურთ, ...ეს ერთეული ეკონომიკურად ...ილდღიანი იყოს, არა მხოლოდ ...ათვის, რომ თვითონ იყონ კა...გად, არამედ თვით ამ ერთეულის ...ერესებშიც, ამ ერთეულზე ...ნვის გამო. ამ ერთეულს წმი...და ეკონომიკური აზრით წარმო...ადგენს ...კავშირი, კორპორაცია, არტე..., ერთეულს ფართო აზრით, სა...ლდობრ, მორალურ-პოლიტიკუ... აზრითაც წარმოადგენს ...ხელმწიფო ან მასთან ახლო ...დგომი გაერთიანებები. შე...ქვთ რა ავტონომიური რესპუ...ლიკის თვითდაფინანსება ისე, რომ ...რ უთითებენ მოკავშირე რესპუბ...ლიკის როლზე ამ დაფინანსების ...ზომისა და კონკრეტული სახის ...განსაზღვრაში, პროექტის ავტორე...ბი ამით ავტონომიური ერთეულის ...თვითდაფინანსებას აღიარებენ თა...ვისთავად, თვითკმარ მიზნად. ამ...გვარად, იდგმება კიდევ ერთი ნაბი... ავტონომიური რესპუბლიკის ...მოკავშირე რესპუბლიკისაგან მო...წყვეტად, ამჯერად — მორალურ-...ფასეულობით პლანში.

...პროექტში შემდეგ ნათქვამია, ...რომ ავტონომიური რესპუბლიკე...ის ხელისუფლების ორგანოებს ...ქნებათ უფლება გააპროტესტონ ...რ კავშირისა და მოკავშირე რეს...პუბლიკების მმართველობითი ორ...განოების აქტების მოქმედება, თუ ...ისინი ეწინააღმდეგება კონსტიტუ...ციით დამკვიდრებულ „სსრ კავში...ის თუ მოკავშირე რესპუბლიკის ...კომპეტენციას". პროტესტის ად...რესატი არაა მითითებული, მაგრამ ...ნათელია, რომ ის მოკავშირე რეს...პუბლიკაში კი ...ა, არამედ მოსკ...ოვშია. ამრიგად, სუვერენული სა...ხელმწიფოს—მოკავშირე რესპუბლი...კის ნაწილი იღებს გაპროტესტებ...ის უფლებას სუვერენული სახელ...მწიფოს — მოკავშირე რესპუბლი...კის — გარეთ არსებულ ინსტანცი...ებში.

...ავტონომიური ოლქის ხელისუ...ფლების ორგანოებს პროექტი უფ...ლებას აძლევს უშუალოდ მიმართ...ონ კავშირის სამინისტროებსა და ...უწყებებს. ამით აღიარებულია ამ ...ნასკნელთა უფლება, ავტონომი...ურ ოლქთან დაკავშირებული გა...დაწყვეტილებები მოკავშირე რეს...პუბლიკის ხელისუფლების ორგა...ნოების გვერდის ავლით მიიღონ.

რესპუბლიკასა და მის შემადგენლობაში შემავალ ავტონომიას შორის წარმოშობილი სადავო საკითხები განსახილველად გადაეცემა საკავშირო ორგანოებს, რომელთაც აქვთ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის უფლება. ამდენად საკავშირო ხელისუფლების ორგანოებს აქვთ გადამწყვეტი ხმის უფლება მოკავშირე რესპუბლიკის მის ნაწილებთან ურთიერთობის რეგულირებაში.

შეიძლება შევაჯამოთ: მოკავშირე რესპუბლიკის მთავრობასა და ავტონომიურ ერთეულებს შორის ძალაუფლების განაწილების განსაზღვრაში ცვლილების შეტანით, პროექტი ახორციელებს 1922 წლის სამოკავშირეო ხელშეკრულების თვით სუბიექტის, სახელდობრ — მოკავშირე რესპუბლიკის — რღვევას, რომელიც (ეს მოკავშირე რესპუბლიკა) ამ ხელშეკრულებით სსრ კავშირის შემადგენლობაში შევიდა, როგორც ხელისუფლების ასა და ამგვარი განაწილების მქონე სუვერენული სახელმწიფო. შევნიშნავთ, რომ ხელშეკრულების სუბიექტის მსგავსი დარღვევა საკავშირო ხელისუფლებამ უკვე განახორციელა. მაგალითად, საქართველოში, როცა ეყრდნობოდა რა მოსკოვის შეუზღუდავ დიქტატურას, სრულიად თვითნებურად განსაზღვრულ ტერიტორიაზე შექმნა ავტონომიური გაერთიანება გამოგონილი სახელწოდებით — „სამხრეთ ოსეთი", თუმცა აღნიშნული ტერიტორია საქართველო იყო და არის უკლებლივ ყველა პარამეტრით, გარდა XIX საუკუნეში მოსულ მოსახლეთა პროცენტისა (ოსები — 65 პროც.).

პროექტი გვთავაზობს შეიქმნას ავტონომიები მთელი რესპუბლიკის მასშტაბით მინორიტეტული ეთნიკური ჯგუფებისათვის, რომლებიც მაჟორიტეტულია მოცემული ტერიტორიის მოსახლეობის მასშტაბით. თანაც ისე, რომ არ განისაზღვრება ამ ტერიტორიის განკერძოების არც ზომა, არც ამ ტერიტორიის გამოყოფილობის ხარისხი ან ხასიათი. გვთავაზობენ შეიქმნას ავტონომიური რაიონები და სასოფლო საბჭოები. ეს გეგმა პრინციპულად მცდარია იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოცემულ რაიონში, სოფელში და ა. შ. არ არის მოცემული რაიონის, სოფლის და ა. შ. მოსახლეობის მასშტაბით მინორიტეტული ადგილობრივი, მოცემული რესპუბლიკისათვის მკვიდრი ეროვნების ეთნიკური ჯგუფი, რომელიც ამით, მაჟორიტეტული ჯგუფის სასარგებლოდ, თავისი მმართველობითი ფუნქციის ნაწილს კარგავს.

აქცევენ რა ძალაუფლებას მოცემულ რეგიონსა თუ მიკრორეგიონში დამოკიდებულად დემოგრაფიული განვითარების მიმართულებასა და დინამიკაზე, პროექტის ავტორები ამით აიძულებენ არსებულ მოსახლეობას (უმეტეს შემთხვევაში — მოკავშირე რესპუბლიკის მკვიდრ მოსახლეობას) **შიში ჰქონდეს** სხვა ტომის ელემენტის გამრავლებისა, როგორც მისი ერის უფლებების შეზღუდვის საფრთხის, შემქმნელისა ამ ტერიტორიაზე. ამას აუცილებლად მივყავართ მოცემული ერის ადამიანთა სწრაფვამდე, ხელი შეუშალონ სხვა ტომის ელემენტის გამრავლებას, და აქედან გამომდინარე ამ სხვა ტომის ელემენტის სწრაფვამდეც, მიიღოს საწინააღმდეგო ზომები ასეთი შესაძლებლობის წარმოშობის წინააღმდეგ. ამრიგად, იქმნება გენოციდის წარმოშობის პირობები, რომლის თავიდან აცილების ერთადერთი გზაა მოცემულ ტერიტორიაზე ამჟამად არსებული მკვიდრი (მოკავშირე რესპუბლიკისათვის სახელის მიმცემი) მოსახლეობის ხელისუფლების **სტაბილურობის** ერთმნიშვნელოვანი დაკანონება. არავისთვისაა საიდუმლო, რომ ისტორიაში პრაქტიკულად გარდაუვალია ხალხებს, სახელმწიფოებსა და რასებს შორის ტერიტორიების **გადანაწილება**, მაგრამ ეს გადანაწილება მხოლოდ მაშინ ხდება, ანუ ისტორიის სასწორი მხოლოდ მაშინ მოდის მოძრაობაში, როცა ცვლილებას განიცდის სახელმწიფოების არსებული სისტემა ტერიტორიის არსებული განაწილებითურთ. სახელმწიფო თავის თავში განასახიერებს **სტაბილურობის** საწყისს. ერებს შორის ტერიტორიულ საზღვართა და უფლებამოსილების საზღვართა გადაკეთება მოცემული სახელმწიფო წარმონაქმნის გეოგრაფიულსა და დროით ფარგლებში დაუშვებელია, და ამდენად, შეუძლებელიცაა ერთაშორისი მორალის ჩარჩოებში.

ეროვნული ავტონომიების ორგანიზების ერთადერთი დასაშვები გზა შეიძლება იყოს გამიჯვნა, როგორც ავტონომიის განსხვავებული ფორმებისა, ერთის მხრივ, **ეროვნული** და მეორეს მხრივ, **ეროვნულ-ტერიტორიული** ავტონომიისა. ეროვნული ავტონომია არის ეთნოსის უფლება, თავად მართოს საკუთარი თავი, თუ მას ეს სურს, იმ სფეროებში, რომლებიც აუცილებელია უცხო გარემოში მისი ეროვნული იდენტურობის შესანარჩუნებლად, უფლება მშობლიურ ენაზე განათლების, ნებისმიერი დონის კულტურული დაწესებულებების ქონის, ინდივიდების ურთიერთკონფლიქტების ტრადიციული ნორმების საფუძველზე სასამართლო განხილვის და ა. შ. ამის უფლება შეიძლება ჰქონდეს ყველა ეროვნულ ჯგუფს, ვისაც ეს სურს. ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია კი არის ეროვნული ავტონომია პლუს უფლებები მოცემული ეთნიკური ჯგუფის განსახლების **ტერიტორიის** მიმართ. იგი უნდა ჰქონდეს ამა თუ იმ ეთნიკურ ჯგუფს, რომელიც ცხოვრობს თავის ისტორიულ ტერიტორიაზე, ანუ, რაც უმეტეს შემთხვევაში ერთი და იგივეა, რომელსაც მის ქვეშ არ გააჩნია სხვა ტერიტორია, რომელსაც იგი თავისად თვლის.

ამ გარემოებასთან ორგანულადაა დაკავშირებული **საკადრო პოლიტიკის** თემა, რომელსაც პროექტის იგივე ნაწილი ეხება. აქ ნათქვამია: „უ ზ რ უ ნ ვ ე ლ ყ ო ფ ი ლ ი იყოს... თავიანთი ეროვნულ-ტერიტორიული წარმონაქმნების ფარგლებს გარეთ მცხოვრები ხალხების.... წარმომადგენლობის უფლება ხელისუფლების ორგანოებში".

გამოდის, რომ ხელმძღვანელი თანამდებობების რაღაც რაოდენობაზე კანდიდატების არჩევა ხდება ეროვნული უმრავლესობიდან მოცემული მიკროტერიტორიის მიმართ. ანუ ეროვნული უმცირესობიდან მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიის მიმართ. ასეთი დანიშვნის ან არჩევის ამ წესს არადემოკრატიულობასთან ერთად აქვს ის დეფექტიც, რომ ადამიანი, რომელიც დანიშნული ან არჩეულია როგორც თავისი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი, ფუნქციონირებას ისე გაწევს, როგორც ამ ჯგუფის წარმომადგენელი, ანუ ამოვა თავისი ეთნიკური ჯგუფის მოცემულ ტერიტორიაზე დამკვიდრების მიზნიდან რესპუბლიკის მკვიდრი ერის ხარჯზე.

ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების დემოკრატიული არჩევნებისას არამკვიდრი უმრავლესობის მიერ წინასწარ დადგენილი ადგილების მოპოვება სავსებით შესაძლებელია და როგორც მორალურად, ისევე იურიდიულად მისაღებია, მაგრამ ეს ხელს არ უნდა უშლიდეს მკვიდრი ერის — ანუ იმ ერის, რომლისთვისაც ეს რესპუბლიკა სამშობლოა — უფლებების განხორციელებას მოცემული ტერიტორიის მიმართ ხელისუფლების ცენტრალური რესპუბლიკური ორგანოების მეშვეობით, რომლებიც რესპუბლიკის მთელ ტერიტორიას უნდა განაგებდნენ შეზღუდვის გარეშე.

### III. „ეროვნული საკითხი და მოქალაქეთა უფლებები"

მე-8 აბზაცი შეუთავსებელია დემოკრატიასთან, რამდენადაც ის მოითხოვს ორგანიზაციებისა და ჯგუფების აკრძალვას არა იმის გამო, რომ ისინი ძალადობას მიმართავენ ან ძალადობისაკენ მოგვიწოდებენ, არამედ მათი მსოფლმხედველობის ხელისუფალთათვის არასასურველი ხასიათის გამო. „ნაციონალიზმის" ცნება, რაზეც აქაა საუბარი, პროექტში არ განისაზღვრება. ამრიგად, ამ ცნების ქვეშ შეიძლება მოაქციო ნებისმიერი პატრიოტული მოძრაობა.

**საქართველოს სახალხო ფრონტის სახელით გამგეობის თავმჯდომარე ნ. ნათაძე.**
**5 აგვისტო, 1989 წ.**

# საქართველოს სახალხო ფრონტის

## გამგეობის დეკლარაცია

ქვემო ქართლის რაიონებში (მარნეული, ბოლნისი, დმანისი) გრძელდება დაძაბულობა. აზერბაიჯანელები, რომლებიც რუსეთის ანტიქართული ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად (1800-იანი წლებიდან 1917 წლამდე), საბჭოთა პერიოდში სოფლად შექმნილი ხელოვნური სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის მოქმედების შედეგად, ამ რაიონთა სათავეში ჯერ კორუმპირებული ქართველი ადმინისტრაციის დაყენების, შემდეგ კი აზერბაიჯანული ეროვნების ადმინისტრაციის დაყენების შედეგად, მუსლიმანი მოსახლეობის გამრავლების მაღალი ტემპის შედეგად და, განსაკუთრებით, მოსაზღვრე აზერბაიჯანის სს რესპუბლიკიდან მოსახლეობის უკანონო შემოსვლისა და დამკვიდრების შედეგად, აქ მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ (მათ შორის მარნეულის რაიონში 70%-ს), აღჭურვილნი არიან საბრძოლო იარაღით და თავს ესხმიან ქართულ სოფლებს, მოსახლეობის დახოცვის ან აყრის მიზნით. რამდენადაც ვიცით, გრძელდება აზსსრ ტერიტორიიდან იარაღის შემოტანა და შეიარაღებული რაზმელების ფარული შემოღწევა. განსაკუთრებით აქტიურნი არიან ანტიქართულ აქციებში ის აზერბაიჯანელი ლტოლვილები, რომლებიც სომხეთიდან შემოვიდნენ რამდენიმე თვის წინ სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტის პირობებში, მაგრამ დღემდე საქართველოდან არ გასულან (მათი რაოდენობა 7–8 ათასია, ჩვენი ცნობებით). ქართველი მოსახლეობა დაუცველია მათ პირისპირ, რადგანაც მას ჩამორთმეული აქვს ერთადერთი შესაძლო იარაღი — გლუვლულიანი სანადირო თოფები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ა. წ. 4 აპრილის გადაწყვეტილებით. ამჟამად ხსენებულ რაიონებში იმყოფება მილიციის დიდი ძალები, რისთვისაც საჭირო გახდა ამ ძალების გამოყვანა თბილისიდან და საქართველოს სხვა რაიონებიდან. დღეს მილიცია აკონტროლებს მდგომარეობას იმ მხრივ, რომ ძალმომრეობას უკვე რამდენიმე დღეა ადგილი არ ჰქონია, მაგრამ იგი ვერ ფლობს მდგომარეობას იმდენად, ან არ ცდილობს დაეუფლოს მას იმდენად, რომ აზერბაიჯანულ მოსახლეობაში საბრძოლო იარაღის ამოღება შეძლოს ან აზერბაიჯანული მოსახლეობის მიერ ღამ-ღამობით სავტომობილო გზების ჩახერგვა აღკვეთოს. სამწუხაროდ, განცვიფრებას იწვევს ხელისუფალთა მოქმედება, რომლებიც კვლავ უშვებენ სამუშაოდ აზერბაიჯანული ეროვნების მძღოლებს დიდ თვითმცლელებზე, მიუხედავად იმისა, რომ ქართველ მოსახლეობაზე თავდასხმისას, კრიტიკულ ღამეებში ეს თვითმცლელები გამოყენებული იყო როგორც იარაღი. უფრო მეტიც, ქ. ბოლნისში სამუშაოზე აღადგინეს ამგვარი მანქანების აზერბაიჯანელი მძღოლები, რომლებმაც რამდენიმე დღის წინ მიატოვეს სამუშაო და, მაშასადამე, კანონის მიხედვით მოხსნას იმსახურებდნენ.

ქართველი მოსახლეობა ჯერჯერობით სრულ წესიერებას იცავს.

სსფ-ის გამგეობას მიაჩნია, რომ აზერბაიჯანელი მოსახლეობის შეიარაღებული გამოსვლა აგრესიული ანტიქართული მოთხოვნებით (ავტონომიის შექმნა იმ რაიონთაგან, სადაც აზერბაიჯანელები უმრავლესობას შეადგენენ, ქართველების გასახლება ამ რაიონებიდან და სხვა), ერთი მხრივ, ისლამის ორგანიზებული აღორძინების და მასთან საბჭოთა კავშირის დამეგობრების პოლიტიკის გამოვლინებაა (რაზეც მეტყველებს მიმდინარე დაახლოება ირანთან), მეორე მხრივ, პანთურქიზმისა (რასაც მოწმობს მარნეულში სარბევად გამოსული ბრბოს მიერ თურქული დროშების აღმართვა). ამ მოძრაობის დღეს საქართველოში ამოქმედების ერთ-ერთი ძირითადი წარმმართველი ფაქტორია იმ ძალების გავლენაც, რომლებიც დღეს საბჭოთა კავშირში ეროვნებათაშორისი კონფლიქტების შექმნას ესწრაფვიან კოლონიური ბატონობის განმტკიცების მიზნით. კერძოდ, საქართველოში ამ ვითარების შექმნა ერთ-ერთი რგოლია ანტიქართულ ქმედებათა იმ ჯაჭვისა, რომელიც აფხაზეთის ასსრ-ში აფხაზების ანტიქართულ გამოსვლებში, ცხინვალის ოლქში ოსების ანტიქართულ გამოსვლებსა და ფერგანაში ორგანიზებულ ჟლეტაში ვლინდება. მარნეულის, ბოლნისისა და დმანისის რაიონებში ორგანიზებული გენოციდის მცდელობის ერთ-ერთი ფაქტორი, სავარაუდოა, არის სამხედრო უწყების ნებაც, რომელსაც განზრახული აქვს ქართველ ერში ახალი მსხვერპლის გამოწვევა და თითქოსდა ეროვნებათაშორისი კონფლიქტით ანტიქართული რეპრესიების გამართლება.

განცვიფრებას იწვევს ის ფაქტი, რომ საქართველოს პრესაში ზემოხსენებული მოვლენები შუქდება როგორც ორმხრივი კონფლიქტი, როგორც ეროვნებათაშორისი ინტერესების შეჯახება, მაშინ როცა სინამდვილეში ეს არის სავსებით ცალმხრივი აქცია — ქართველ მოსახლეობაზე აზერბაიჯანელი მოსახლეობის წინასწარგანზრახული შეიარაღებული თავდასხმის აქცია.

სსფ-ის გამგეობა მთელის კატეგორიულობით მოითხოვს საქართველოს სსრ და სსრკ მთავრობისაგან ამ რაიონებში პოლიტიკის კურსის რადიკალურ შეცვლას, სახელდობრ, შემდეგი ღონისძიებების მიღებას:

1. ამოღებულ იქნას აზერბაიჯანელი მოსახლეობისაგან მის ხელთ უკანონოდ არსებული საბრძოლო იარაღი. დაგმობილ იქნას დამამცირებელი უნდობლობა საქართველოს მონადირეებისადმი, რომელთაც 4 აპრილს (ანუ 1989 ლის 9 აპრილის მასობრივი მკვლელობის მომზადებისას) ჩამოართვეს გლუვლულიანი ცეცხლსასროლი იარაღი (სანადირო თოფები), და გამოსწორდეს ამ უნდობლობის შედეგი.

2. დაუყოვნებლივ გამოვლენილ/ და საქართველოდან გაყვანილ იქნას ბანდიტური თავდასხმების მონაწილე ყველაზე აქტიური ელემენტი — სომხეთიდან შემოსული ლტოლვილი აზერბაიჯანელი მოსახლეობა.

3. მიეცეს ქართველ მოსახლეობას უფლება, შექმნას დაცვის სახალხო რაზმები (თუნდაც სსფ-ის ეგიდით) და ამ რაზმებს მიეცეს ცეცხლსასროლი იარაღი. ამავე რაზმებს დაეკისროს საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის, აგრეთვე როკისა და ჯვრის უღელტეხილების დაცვა, იქიდან იარაღის შემოტანისა და ბანდების შემოსვლის აღსაკვეთად.

4. გათვალისწინებულ იქნას, რომ საქართველოს მიწა ქართველი ერის წმინდათაწმინდა კუთვნილებაა და რომ მის ყოველ ნაწილზე (ყოველ რაიონზე) მმართველობითი ფუნქციები ქართველს ეკუთვნის. ამგვარად შეწყდეს მახინჯი საკადრო პოლიტიკა. ზემოხსენებულ რაიონებში, როდესაც ხელისუფლება აქ ფაქტობრივი უცხო უმრავლესობის წარმომადგენელს, ამ შემთხვევაში საქართველოს მტერს ეძლევა.

5. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს აზერბაიჯანული მოსახლეობა მოცულია ანტიქრისტიანული, ანტიქართული ზანგით, რომ მისი განწყობილება პათოლოგიის ზღვარზე მდგარი რელიგიური ფანატიზმით ხასიათდება, როცა ადამიანი პრაქტიკული ინტერესებისადმი ანგარიშგაწევის უნარს კარგავს, დათხოვნილ იქნან აზერბაიჯანელები ისეთი სამუშაოებიდან, სადაც მათ მოსახლეობისათვის დიდი ზიანის მოტანა შეუძლიათ: წყალსადენის სადარაჯოებიდან, მილიციიდან, მედმომსახურებიდან და ა. შ. გათვალისწინებულ იქნას, რომ ქართველი (და არა მარტო ქართველი) მოსახლეობა მათ არ ენდობა.

6. მოიხსნას ხელოვნური ზღუდეები ხსენებულ სამ მდიდარ რაიონსა და დანარჩენ საქართველოს შორის; ამ რაიონთა სიმდიდრით სარგებლობისკენ გზა გაეხსნას საქართველოს მთელ მოსახლეობას და ყველა საწარმოსა თუ დაწესებულებას.

7. დაისაჯონ ანტიქართული გენოციდის მცდელობის ორგანიზატორები და უკლებლივ ყველა მონაწილე.

8. დაწესდეს სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლი სოფლის მეურნეობის პროდუქტთა წარმოებაზე ხსენებულ რეგიონში (ქიმიური შემოწმების ჩათვლით).

ამ ელემენტარულ მოთხოვნათა შეუსრულებლობას სსრკ მთავრობის მიერ სსფ-ის გამგეობა გაიგებს, როგორც ქართველი ერის მტრობას, ხოლო საქართველოს მთავრობის მიერ — როგორც ქართველების ეროვნულ ინტერესთა ღალატს.

8 ივლისი, 1989

(დასასრული)

დაწოლა მოახდინოს მათზე აღნიშნული უარის გამო, განხილულ უნდა იქნას, როგორც საერთაშორისო სამართლისა და ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევა.

ესეც რომ არ იყოს, ნუთუ ის შემზარავი ფაქტები, რაც თითოეულ ჩვენგანს მრავალჯერ გაუგონია სამხედრო ნაწილებში გამეფებული სრული განუკითხაობის შესახებ, ხოლო სამხედრო საქმეთა კომისიას შემაძრწუნებელი დოკუმენტური მასალის სახით აქვს წარმოდგენილი, საკმარისი არ არის იმისათვის, სხვა თუ არაფერი, მორალური მხარდაჭერა მაინც აღმოვუჩინოთ მათ, ვინც საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდების მიერ საბჭოთა არმიის რიგებში სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის წინააღმდეგ იბრძვის?!

კმარა, საქართველოს უაზროდ გასაწირი შვილები არ ჰყავს.

გიორგი მაჟაშვილი

ვაქვეყნებთ ჩვენი რესპუბლიკიდან გაწვეულ იმ ახალგაზრდათა სიას, რომლებიც დაიღუპნენ სამხედრო სავალდებულო სამსახურის დროს 1989 წელს:

## იანვარი

რევაზ მელაძე — დაიღუპა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს (დაცხრილა თანამებრძოლმა ჯარისკაცმა);

რევაზ კირთავა — დაიღუპა ხარკინიგზო კატასტროფაში;

ემზარ წულეისკირი — დაიღუპა ავტოკატასტროფაში;

ალექსი მოისეევი — დაამთავრა სიცოცხლე თვითმკვლელობით;

ვიაჩესლავ კოზლოვი — გარდაიცვალა ცეროზით;

ალახვერდიევი — დაიღუპა ავტოკატასტროფაში.

## თებერვალი

ბელა სიმონიანი — გარდაიცვალა დიფტირიისაგან;

კარიმ ამირიანი — თავი ჩამოიხრჩო;

ბიზო ჩიკვაიძე — მოკლულ იქნა გამანაწილებელი ყარაულის გამოცვლის დროს გაუგებრობის გამო;

ნიზამ ალიევი — გაიტანა ავტომობილმა.

## მარტი

ტოფიკ ისმაილოვი — გაიტანა მანქანამ;

ნამაზ ნამაზოვი — გარდაიცვალა ავადმყოფობით;

ფახრადინ მუსაევი — ეპიდუალური გემატომა;

გიორგი გოგავა — გარდაიცვალა ფილტვების დაავადებით;

გონდო ხელაშვილი — გარდაიცვალა დიფტერიით;

ჯონი სამუშია — გარდაიცვალა დიფტერიისაგან.

## აპრილი

ელდარ ფუტკარაძე — გასრისა ტანკმა;

ჯუმბერ მახაცაძე — გაიტანა ავტომობილმა;

# კმარა!

ნოდარ ბუხნიკაშვილი — დაიღუპა წყალქვეშა ნავზე.

## მაისი

მამუკა ხარაბაძე — მორიგეობის დროს დახვრიტა თანამოსამსახურემ;

რომან ლილაძე — გარდაიცვალა გულის უკმარისობისაგან;

ოლეგ ზეიქრიშვილი — გარდაიცვალა თავის ტვინის სიმსივნისაგან;

ბელა ბაფრინდაშვილი — დაიხრჩო მდინარეში;

ნიკიფორე ბოლთაევი — მანქანის ქვეშ მოყვა.

## ივნისი

გენადი გუდაძე — დაიხრჩო ბანაობის დროს. თანამოსამსახურე, ვისთან ერთადაც ბანაობდა, დაპატიმრებულია, მიმდინარეობს გამოძიება;

იური ბაშკიროვი — მოკვდა თავის ტვინის სიმსივნისაგან;

ავთანდილ ხარაზიშვილი — თავი ჩამოიხრჩო;

დავით ნაფარაშვილი — გარდაიცვალა ფილტვების ტოპალური ანთებით ოლქის სამხედრო ჰოსპიტალში;

ალექსი ჯანიაშვილი — გარდაიცვალა თირკმელების უკმარისობით;

ტარიელ ჩანჩიბაძე — გარდაიცვალა ტვინში სისხლის ჩაქცევით;

ბელა ცინცაძე — დაიხრჩო ბანაობის დროს;

სამველ მიქაელიანი — დაიღუპა ბენზინის ორთქლისაგან. იპოვეს ცისტერნაში;

ზაზა ფილია — დაიღუპა შემთხვევითი გასროლის შემდეგ საგუშაგოზე.

ზაზა კაპანაძე — დაიღუპა ავტოკატასტროფაში.

## ივლისი

უურზანოვი ტახირ ამირ ასლან-ოღლი — დაიღუპა გაუფრთხილებლობის გამო, არ მოერიდა ტყვიის ჭერს, დადიოდა სახიფათო ზონაში.

რუბენ ართმელაძე — გარდაიცვალა ჰაუპტვახტში ცემის შედეგად.

კახაბერ ბარამიშვილი — დაიხრჩო მდინარეში.

## აგვისტო

რამაზ ადიკაშვილი — დაიღუპა ავტოკატასტროფაში;

ხვიჩა ჩაჩანაძე — თავი მოიხრჩო;

ხეირხაბაროვი ფესტაფა მუდ-ოღლი — დაიწვა;

ბელა ქუ[illegible] — გარდაიცვალა სისხ[illegible]. ლუპვის თვე ზუსტად ცნობილი არის;

გენადი მოშიაშვილი — გუდა რიგითმა კ. გ. სარხენ ალძრულია სისხლის სამართლის საქმე;

ვასილ დუნდუა — მიზეზი ნობია;

ბელა ბაფრინდაშვილი თავი ჩამოიხრჩო;

ნუგზარ კაპანაძე — თავი მოიხრჩო;

ჯემალ გოგრიჭიანი — იხრჩო მდინარეში;

პოპოვი — ნახშირბადოვანი ზით მოიწამლა.

ილია კიპირაძე — მოკვდა ბანაობის დროს;

ალექსანდრე შაპოშნიკოვ მანქანამ გაჭყლიტა;

ბადრი თოდუა — მოკვდა ნით მიღებული ჭრილობით;

ტყებუჩავა — სავა ამობ კატასტროფა;

არტურ ალავერდოვი — თ ჩამოიხრჩო;

პავლე საქიძე — დაიღუპა ბრძოლო სროლების დროს.

გთხოვთ, მიაქციოთ ყურადღებ აპრილის შემდეგ დაღუპულთა რის ქართველთა უმრავლესობა კარაა.

# ღია წერილი ბ-ნ გურამ ფანჯიკიძეს

**ამ წერილმა მრავალი რედაქცია მოიარა, მაგრამ არსად დაიბეჭდა. ამიტომ დაგვიგვიანდა პასუხი.**

26 ივლისს გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნდა გურამ ფანჯიკიძის წერილი, რომლითაც იგი, როგორც თვითონ აცხადებს, მიმართავს ყველა თაობის წარმომადგენელს. სტატიის თემატიკა იმდენად საჭირბოროტოა, ხოლო მისი გაშუქება იმდენად მიუღებელი ჩვენთვის, რომ არ შეგვეძლო მისი რეაგირების გარეშე დატოვება.

ბ-ნო გურამ, თქვენი სტატია იწყება სავსებით სწორი მოსაზრებით: ჩვენ „ვდგავართ კატასტროფის წინაშე", მაგრამ რაში მდგომარეობს ეს კატასტროფა? თქვენთვის კატასტროფა იქნებოდა კომენდანტის საათის შემოღება და, აქედან გამომდინარე, მოსახლეობის უაღრესად მძიმე პირობებში ჩაყენება. ჩვენ კი გვგონია, რომ უფრო დიდი და ბევრად უფრო რეალური კატასტროფა მაშინ იქნება, თუ ქართველი კაცი ხელს აიღებს ბრძოლაზე, წინ აღუდგება ქვემო ქართლისა და აფხაზეთის წართმევის საფრთხეს. როგორი მძიმეც არ უნდა იყოს არსებობა კომენდანტის საათის დროს, რატომ გგონიათ, რომ მისი სიმძიმე მარტო თქვენ გესმით?— ეს მაინც არაფერია იმასთან შედარებით, რომ ისედაც დაჩეხილმა, შევიწროებულმა საქართველომ დაკარგოს მისი შვილების ოფლითა და სისხლით მორწყული მთელი ოლქები, რომ ისლამთან, სხვადასხვა მოძალადეებთან ათასწლოვანი თავდაცვითი ბრძოლა ამისთანა მარცხით დაგვირგვინდეს. უბრალოდ, გაუგებარია, როგორ შეიძლება დღევანდელ სიტუაციაზე მსჯელობა ისე, რომ ერთხელაც არ იყოს ნახსენები, თუ რა საფრთხე ემუქრება საქართველოს ამ რეგიონებს. იმიტომ ხომ არა, ბ-ნო გურამ, რომ ამ შემთხვევაში რაიმე კონკრეტული მოქმედების გეგმა უნდა შემოგვთავაზოთ, თქვენ კი ძირითადად კრიტიკითა ხართ დაკავებული? რას სთავაზობთ ხალხს, სიბრძნესა და გონიერებას? ამას რა სჯობია, მაგრამ რაში, სად და როგორ, რომელ კონკრეტულ ქმედებაში უნდა გამოვლინდეს ეს სიბრძნე და გონიერება? როგორია თქვენს მიერ შემოთავაზებული მოქმედების გეგმა? ფაქტიურად თქვენი ნათქვამიდან შემდეგი აზრის გამოტანა შეიძლება: ჭკუით იყავით, თორემ დაისჯებით. კი მაგრამ, ამას ხომ ისედაც გაუთავებლად ისმენს ქართველი ხალხი 1921 წლიდან მოყოლებული. რა? ისევ შიში და სიჩუმე? თქვენ მოგვიწოდებთ ერთიანობისაკენ, „ურთიერთპატივისცემისაკენ, ყურადღებით მოსმენისაკენ" და იქვე ტალახში სვრით ადამიანთა მთელ ჯგუფს, ხელმოცარულად, პასუხისგების გრძნობას მოკლებულ ადამიანებად აცხადებთ მათ. მაინც, კონკრეტულად ვის გულისხმობთ, ბ-ნო გურამ? რატომ არ გყოფნით ვაჟკაცობა, პირადად დაასახელოთ ისინი? გაფიცვისაკენ ხალხს მოუწოდეს და მძაფრი ლოზუნგები დააყენეს სავსებით კონკრეტულმა ორგანიზაციებმა ეროვნულ მოძრაობაში, ე. წ. არაფორმალებმა, მათმა ლიდერებმა. თუ თქვენ მათ არ გულისხმობთ, მაშინ საერთოდ გაუგებარია, რა საჭიროა ვიღაც ხალხზე ლაპარაკი, რომელსაც კონკრეტული როლი არ მიუძღვის თქვენს მიერ ნაძრახ მოქმედებაში (ლოზუნგებში და გაფიცვებში), ხოლო თუკი მათ გულისხმობთ, უნდა გესმოდეთ, რომ ისინი რეალურ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენენ და მათთან დიალოგია საჭირო, თუ მათ გვერდით ყოფნა არ გსურთ, და არა მათი გასვრის მცდელობა (ამას მმართველი წრეებიც კი მიხვდნენ). თქვენ რომ ეს გეცადათ, გეცოდინებოდათ, რომ იმ ადამიანებმა, რომლებსაც თქვენ ხელმოცარულებს, გამოგდებულ სტუდენტებს, უნიჭო ხელოვანებსა და ა. შ. უწოდებთ, საქართველო მართლაც რეალური კატასტროფისაგან იხსნეს, როდესაც თავიანთი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების ფასად ოჩამჩირესთან, მდინარე ღალიძგასთან გააჩერეს ორმოცი ათასამდე შეიარაღებული ქართველი, განრისხებული, გაავფთრებული ხალხი, რომელიც არაფერს ეპუებოდა და მის წინ მდგომ ჯარზე მიიწევდა. ძნელი არ უნდა იყოს იმის წარმოდგენა, თუ რა კატასტროფით დამთავრდებოდა ეს შეტაკება და ნერვების, ენერგიის, ნებისყოფის რა დაძაბვის ხარჯზე მოხერხდა მათი შეჩერება (უპირველეს ყოვლისა, ეს მერაბ კოსტავას ძალისხმევით მოხდა — რედ.).

გაიხსენეთ, ბ-ნო გურამ, როგორი იყო ჩვენი ცხოვრება სულ რამდენიმე თვის წინ და როგორ მკვეთრად შეიცვალა იგი მათი, „არაფორმალების" მცდელობით, თავდადებით. თუ დღეს ახალგაზრდების იდეალს წარმოადგენს პატრიოტი, მებრძოლი და არა ქონების და კარიერის მომხვეჭელი; თუ ქურდულ-ნარკომანულმა „რომანტიკამ" დაკარგა თავისი შარავანდედი; თუ ჩვენში არსებობს მძლავრი შემოტრიალება ქრისტეს რჯულისადმი, რწმენისადმი; თუ ჩვენი პრესა და რადიო-ტელევიზია უფრო გახსნილია; თუკი მეტი საშუალება მოგვეცა ვიზრუნოთ ყველაზე მტკივნეულ საკითხებზე (ცხადია, იდეალამდე ჯერ ძალიან შორს არის), ეს პირველ რიგში იმათი ბრძოლის შედეგია, რომელთაც თქვენ სუპერრადიკალებს უწოდებთ. ადრე, „პატიაშვილის ხანაში", მათ ექსტრემისტებს ეძახდნენ.

ამდენად, იმისათვის, რომ თქვენს მოსაზრებებს ობიექტურმა, პატიოსანმა ადამიანმა ყური დაუგდოს, საჭიროა, მას ჯერ დაანახოთ, რომ თქვენ ობიექტურად აფასებთ იმათ, ვისაც აკრიტიკებთ, რომ თქვენ გააზრებული გაქვთ მათი მოქმედების გეგმა, ტაქტიკა თუ სტრატეგია, რომელიც მათ მკაფიო ლოგიკის მიხედვით აქვთ ჩამოყალიბებული. თუ შეგიძლიათ, უარყავით იგი, შემოგვთავაზეთ მოქმედების უკეთესი გეგმა, მაგრამ ჯერ ეცადეთ გაიგოთ, თუ რა სურთ მათ.

ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელი ორგანიზაციები, მათი ლიდერები იმ ფაქტიდან გამოდიან, რომ ქართველმა მოსახლეობამ ქვემო ქართლში და, განსაკუთრებით მწვავე ფორმებში, აფხაზეთში განიცადა სრულიად დაუმსახურებელი აგრესია. შეიქმნა მათი იქ ყოფნა-არყოფნის საფრთხე. ქართველი ხალხი აღდგა მათ დასაცავად. განსაკუთრებით აქტიური იყო დასავლეთ საქართველო და ამ აქტიურობამ პირველ, ყველაზე კრიტიკულ ეტაპზე, შეიძლება ითქვას, გადაარჩინა ქართველი მოსახლეობა აფხაზეთში, რომელსაც შეიარაღებული ბანდებისაგან თავდაცვის არავითარი საშუალება არ ჰქონდა. სვანები რომ არა, სოხუმი დღეს შეიძლება დაცლილი ყოფილიყო ქართველებისაგან და მსხვერპლიც ათმაგი იქნებოდა; ექტრემისტების თავხედობა საგრძნობლად შეანელა სამეგრელოში დატრიალებულმა ამბებმაც. მაგრამ მას შემდეგ, რაც აფხაზეთში შინაგანი ჯარის ნაწილები ჩადგნენ, აუცილებელი იყო შეიარაღებული ხალხის დამშვიდება, ბრძოლის მშვიდობიან ფორმაზე გადაყვანა. რა ეთქვათ იქ მყოფ ლიდერებს აბობოქრებული ხალხისათვის? წყნარად იჯექით და ელოდეთ, მთავრობა როდის მოაგვარებს ყველაფერსო? განა არ ვიცით, რომ რეალური ძალაუფლება მათ ზევით იმყოფება? განა უკვე მივიღეთ რეალური სუვერენიტეტი? განა ცოტა მაგალითი გვაქვს, როდესაც კრიტიკულ მომენტში რესპუბლიკის ხელმძღვანელობა პასიურობდა, ან სულაც ერის ინტერესების საწინააღმდეგოდ იქცეოდა? განა პასიურად ჯდომა ასეთ შემთხვევაში არ ნიშნავდა უარის თქმას აფხაზეთისათვის და ქვემო ქართლისათვის ბრძოლაზე, სადაც ქართველი მოსახლეობა ვეღარ გაძლებდა და აიყრებოდა ან დაიხოცებოდა? შეიარაღებული ბრძოლა გამორიცხული იყო. თუმცა „არაფორმალებს" ხან ექსტრემისტებად ნათლავდნენ და ხან სუპერრადიკალებად, ისინი ყველანი კატეგორიულად წინააღმდეგნი არიან ძალადობისა, (არ არსებულა არც ერთი რეალურად ექსტრემისტული მოძრაობა, მარცხენა თუ მარჯვენა, რომელიც არ აღიარებდა ძალადობის აუცილებლობას). ასეთ შემთხვევაში ერთადერთ საშუალებად, ბრძოლის ფორმად, რომელიც აღგზნებული ხალხის ენერგიასაც კალაპოტში ჩააყენებდა და ამასთან საგრძნობ დარტყმას მიაყენებდა იმ სათავეებს, საიდანაც იწყებოდა აფხაზეთის პროვოკაცია და რომელიც მეტ-ნაკლებად აიძულებდა მმართველ ორგანოებს, ემოქმედათ, რჩებოდა გაფიცვა. გაფიცვა მიღებულია მსოფლიოს ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში, როგორც ბრძოლის მშვიდობიანი ხერხი, და მის მოსაწყობად, მით უმეტეს ცალკეულ საწარმოში, არავინ პლებისციტს არ აწყობს. ეს ეხება ენგურჰესსაც. საერთო-სახალხო აზრის გათვალისწინება იმ დროს იყო საჭირო, როცა მას აუწყებდნენ. მაშინ ხალხის აზრი არავის უკითხავს და ამას, თუ არა ვცდები, ბ-ნო გურამ, თქვენი აღშფოთება არ გამოუწვევია. სხვათა შორის, ზოგი საწარმო, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, ლიდერების ყოველგვარი მოწოდების გარეშეც გაიფიცა (მაგ. იგივე სოხუმის დეპო). ამ შემთხვევაში „არაფორმალებმა" გარკვეული ორგანიზება გაუკეთეს იმ მასობრივ მოძრაობას, რომელიც საქართველოში დაიწყო მიუხედავად იმისა, სურდა ეს ვინმეს თუ არა.

არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ეროვნული მოძრაობის ლიდერები თავიდანვე აღნიშნავდნენ: თუ ხელმძღვანელი ორგანოები მეტ-ნაკლებად რეალურად იმოქმედებდნენ, მაშინ ისინი გაფიცვის შეწყვეტისაკენ მოუწოდებდნენ ხალხს, და ასეც მოხდა. განა ეს მათ გონიერებაზე, დიალოგის უნარზე არ მეტყველებს? ამდენად, ყოველგვარი კომენდანტის საათის გარეშე მოხერხდა, ჯერჯერობით, მოვლენათა ჩვენ სასარგებლოდ წარმართვა: საკადრო პოლიტიკაში, იარაღის ამოღებაში, ინფორმაციაში — პირველად, მრავალი წლის შემდეგ, ქართველ ისტორიკოსებს მიეცათ სიმართლის თქმის უფლება და სხვა. რა თქმა უნდა, სრულიადაც არა ვართ დაზღვეული, რომ საქმე ისევ უკუღმა არ შემოგვიტრიალონ, და ამისათვის მზად უნდა ვიყოთ.

თქვენ სწორად აღნიშნეთ, რომ აფხაზეთის ამბებმა ნეგატიურად იმოქმედეს სხვათა აზრზე ჩვენი ეროვნული მოძრაობის შესახებ, მაგრამ ამ საკითხს თქვენ თავდაყირა იხილავთ: უარყოფითი რეაქცია ჩვენ გარშემო წარმოიშვა კრიზისის პირველ დღეებში, ხოლო მას შემდგომ გაფიცვა დაიწყო და გაჩნდა თქვენთვის შემაშფოთებელი ლოზუნგები, საგრძნობლად შეიცვალა უცხოეთის პრესისა თუ რადიოგადაცემების ტონიც. შეიცვალა, ვინაიდან ეს ლოზუნგები უაზროდ გამოვლენილ აგრესიას კი არ წარმოადგენენ, არამედ ერთაშორისი კრიზისის პოლიტიკურ კრიზისში გადაყვანის საშუალებას, ხერხს.

ეროვნულ მოძრაობას არ სურს იფლოს ერთაშორისი კრიზისის მოუვალ ჭაობში, როგორც ეს მხურ ეროვნულ მოძრაობას მო იდა. აქედან გამოსავალს სწორ კრიზისის პოლიტიზაცია იძლ (ე. ი. აქცენტის გადატანა იმ ლიტიკურ ასპექტზე, იმ რეალ მიზეზზე, რომელიც სათავეში ევს კრიზისს). ის, რომ პოლიტი რი კრიზისიდან გამოსვლა ბევრ უფრო ადვილია, ვიდრე წმინდა ნიკურიდან, დღეს უკვე დამწყებ პოლიტიკოსმაც იცის.

რაც შეეხება თქვენს მიერ მოყვანებულ სხვადასხვა, დიდ პატარა ბრალდებებს, ვეცდებ მოკლედ გიპასუხოთ:

თქვენს გულისწყრომას იწვ მრავალი დაჯგუფების შექმნა ამ დროს თვითონა ხართ ერთ-ე თი დაჯგუფების — „დავით აღ შენებლის საზოგადოების" — მნის ინიციატორი, იმ დროს, რო ესაც უკვე არსებობდა „წმ. და აღმაშენებლის საზოგადოება".

თქვენ ჩივით, რომ წარსულ დამსახურებას და ავტორიტ აღარ ექცევა ყურადღება — ჩნია, როგორია ეს დამსახურ და რა გზით არის მოპოვებული ტორიტეტი. ამ მხრივ მართლაც ერი გადაფასება მოხდა.

თქვენ ჩივით, რომ ახალგაზრ ბა მოსწყდა უფროს თაობას. ებ პირიქით, თქვენ ვერ მიჰყვ ით ახალგაზრდობას.

შეიძლება არ გაგვემახვილებ ყურადღება გ. ფანჯიკიძის წერი ზე, რომ ამ ხასიათის გამოსვლე პრესაში კამპანიის სახე არ მიე ამას მოწმობენ მ. მამარდაშვილ ბოლოდროინდელი პუბლიკაცი რ. ბექანიშვილის წერილი 1 აგ სტოს „კომუნისტში". მთე სხვაობის მიუხედავად, ყველა წერილს ახასიათებს საერთო მ რთულება — ისინი, როგორც სი, არა უბრალოდ აკრიტიკებენ ოვნული მოძრაობის რადიკალ ყველაზე ქმედით ფრთას, არამ აშკარა კონფრონტაციაში იმყოფ ბიან მასთან. ამდენად, მათი კ ტიკა მიმართულია არა სხვა სხვა ძალების გაერთიანებისაკ არამედ გათიშვისაკენ. რა თქ უნდა, რადიკალური მოძრაო იზოლირება ხალხისაგან აღემატ მათ ძალებსა და შესაძლებლობე მაგრამ ერში გარკვეული განხე ქილების ჩამოგდება მაინც შეუძ იათ. ამ მხრივ აშკარად შეინიშნ მსგავსება იმ კამპანიასთან, რომ ლიც ჩვენს პრესასა და ტელევ იაში წარმოებდა რადიკალთა ნააღმდეგ ნოემბრის დღეებში, რ დამთავრდა ყველაფერი ეს, კა ად მოგეხსენებათ.

გიორგი ხოშტარ
მაია ერისთა

რედაქტორი მამუკა ფარუაშვილ

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთ
კორაუსვი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 18
ფასი 30 კაპიკ